# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 6 აგვისტო. 2019 წ. №157 (8823) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


სიმართლე კი ასეთია!




## სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო

## რამდენით და როგორ დაფინანსდებიან პარტიები? ②

## კოოპერატივების მარცხი ქართული სოფლისთვის ③ კატასტროფა იქნება

## დეკანოზი ანდრია ჯალაღაიძე:

# საიდან ჩნდება ასეთი აგრესია პატრიარქის მიმართ?



**საიდან ჩნდება ასეთი აგრესია პატრიარქის მიმართ? — პატრიარქი მიმართავს საკუთარ მრევლს. ეს მიმართვა არის მათთვის, ვინც მას უსმენს, მის ხმას იცნობს“,** — ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯალაღაიძე სოციალურ ქსელში წერს. დეკანოზი ამით საზოგადოების ნაწილის მიერ პატრიარქის 4 აგვისტოს ქადაგების მიმართ გამოთქმულ კრიტიკას ეხმაურება.

**„უახლესი ისტორიის დევნის პერიოდებში განა რაიმე სხვა სულით ებრძოდნენ ეკლესიას?**

**პატრიარქი მიმართავს საკუთარ მრევლს. მესამე პირები რატომ უნდა ერეოდნენ ამ ურთიერთობაში?**

**რატომ ნერვიულობს მის სიტყვებზე ეკლესიისათვის უცხო სულის მქონე ხალხი? მათ ხომ ეს ქადაგება პრინციპში არ ეხებათ? ისინი ისედაც ხომ არ გააჩენენ შვილს, რომ ერი გამრავლდეს? ისინი ხომ იმდენჯერ გაიკეთებენ აბორტს, რამდენჯერაც მიიჩნევენ, რომ არასასურველი შვილი უჩნდებათ? ეს ქადაგება მათ არ ეხებათ და ეს მათ შესანიშნავად იციან. მაშ საიდანაა ეს აგრესია ადამიანის მიმართ, რომელიც საკუთარ სულიერ შვილს მიმართავს?**

**პატრიარქის ქადაგებაზე აგრესია პირველი არ არის აბორტის მომხრე ადამიანებისაგან.**

**საქმე ის არის, რომ ყოველი მართალი სიტყვა ჩვენი მამხილებელია და ტკივილს იწვევს. უკეთეს შემთხვევაში ამ ტკივილმა ადამიანს სინანულისაკენ უნდა უწინამძღვროს. უარეს შემთხვევაში კი აგრესია უჩნდება და სურვილი, რომ ეს სიტყვა დაადუმოს“,** — წერს დეკანოზი ანდრია ჯალაღაიძე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა 4 აგვისტოს ქრისტიანებს მარიამ მაგდალინელის დღესასწაული მიულოცა და დედის როლზე იქადაგა.

**„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, მრავალი შემთხვევაა, როცა დედა ტოვებს ოჯახს და მიდის სამსახურში, სამსახური საჭიროა, მაგრამ პირველი შვილების აღზრდაა“,** — აღნიშნა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.

# თავიანთ ძველ კადრებს ახლად ასაღებენ, აღიზიანებენ საზოგადოებას



⦿ სარედაქციო ფოსტიდან

ძველი ნათქვამია, მაგრამ მაინც მოვიშველიებ — **როგორც შავი ყორანი არ გათეთრდება, ისე მარგებელ წამლად არ იქცევა „რუსთავი-2“-ის შხამი და გესლი.** ერთი დამნაშავე პარტიის პროპაგანდისტული მანქანა ცილისმწამებლურ და ცრუ, შეურაცხმყოფელ ინფორმაციულ ნიაღვარს უგვარამიოდაც უხვად აფრქვევს და გაჰყვირის, ერთადერთი თავისუფალი, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ტელევიზია ვარ, რომელიც თავისუფალ სიტყვას ვიცავო. გესმით? ბოროტმოქმედ ნაციონალთა პროპაგანდას თავისუფალი სიტყვის დაცვას ეძახის, თითქოს მთელი საზოგადოება ბრმები და ყრუები ვიყოთ და არ ვიცოდეთ, რას გვაპარებენ ყოველდღიურად.

კარგი, 12, 3, 6 და 9 საათზე „კურიერის“ დაწყებისა და დამთავრების შემდეგ ვითომ 20 ივნისს პარლამენტზე შტურმის ძველი „სისხლიანი კადრების“ გამუდმებული ჩვენება (ახალთან მონტაჟი) რაღაა?!

კი ბატონო, აჩვენე, ოღონდ მართლა ის კადრები აჩვენე და არა წინა ხელისუფლების დროს 7 ნოემბრისა და 26 მაისის მიტინგების ნამდვილად „სისხლიანი კადრები“! ვის ატყუებთ, საზოგადოებას? არ გამოგივათ, ბაქიბუქა გვარამიას შავი ანდერძის მიმდევარო მელაძეებო, ვითომ ხელმოტეხილო ბაღაშვილებო, გაფრინდაშვილებო და წერეთლებო, ყველა მოძალადე ჟურნალისტს რა ჩამოგთვლით?!

ნუთუ ხალვაში და სალია ასე აპირებენ თითქმის ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ნალოდინარი სტრასბურგის განაჩენის აღსრულებას?!

ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ახლა კოლექტიური შხამნესტარმოსარსალე გვარამიასთან აქვთ საქმე?!

**ვეფხია ტურაშვილი,**
**ქ. გორი**



# რამდენით და როგორ დაფინანსდებიან პარტიები?

**როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, პარტია, რომელიც თუნდაც ერთ მანდატს მოიპოვებს პარლამენტში, დაფინანსებას მიიღებს არჩევნებში მოპოვებული ხმების შესაბამისად.**

შედარებით მეტ დაფინანსებას მიიღებენ მცირე პარტიები. შემდეგი ცვლილების მიხედვით, პარლამენტში შესულ პარტიას, რომელსაც არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში, ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის ეყოლება, კვლავაც მიიღებს 30-პროცენტიან დანამატს, რაც საერთო დაფინანსებაში ძალიან სოლიდურ ბონუსს წარმოადგენს.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ცვლილებების თანახმად, უფასო საერთო დრო სამართლიანად, თანაბრად განაწილდება პოლიტიკურ პარტიებზე, დაუშვებელი იქნება ერთი პარტიის მიერ საკუთარი დროის გადაცემა სხვა პარტიისთვის. სატელევიზიო დებატებში მონაწილეობა კი თანაბრად იქნება შესაძლებელი.

**„ცენტრალური საარჩევნო კომისია, ასევე ქვედა დონის საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდება 13 წევრისგან, რომელშიც შვიდ წევრს პოლიტიკური პარტიები შეიყვანენ ისე, რომ ოპოზიციას გარანტირებულად ექნება მეტი ადგილები კომისიებში, ვიდრე მმართველ პარტიას“,** — განაცხადა მან. მისი თქმით, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობა და კონტროლი იქნება უფრო ეფექტიანი, გამჭვირვალე და ნაკლებ ბიუროკრატიული.

**„პარტიის რეგისტრაცია 2020 წლის არჩევნებისთვის შესაძლებელი იქნება 5 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერის, ხოლო მხარდამჭერთა სიების გადამოწმების მექანიზმი მარტივდება. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი უფლებამოსილი იქნება, ხმის მისაცემად თავად შეარჩიოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ნებისმიერი ადაპტირებული საარჩევნო უბანი, არაუგვიანეს არჩევნებამდე 20 დღისა და თითოეული ოლქი იქნება ვალდებული, რომ სულ მცირე, ორი ადაპტირებული უბანი ჰქონდეს პირებისთვის, ვისაც აქვს განსაკუთრებული საჭიროებები“,** — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. ასევე მისი თქმით, დარეგულირდება ბიულეტენის ნამდვილობის დარეგულირების წესი. ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ბათილად ცნობილი, თუ მონიშნული არ იქნება არც ერთი, ან მონიშნული იქნება ერთზე მეტი საარჩევნო სუბიექტი.

**„ჩვენი მხრიდან, როგორც ხედავთ, არის პოლიტიკური ნება და მზადყოფნა, გავატაროთ ეს მნიშვნელოვანი რეფორმა. როგორც ხედავთ, ეუთო-ს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაციები არის გათვალისწინებული ჩვენს შეთავაზებაში“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ. ამასთან, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ ცვლილებებს დასჭირდება ოპოზიციის მხარდაჭერა და პასუხისმგებლობის გაზიარება მათი მხრიდანაც.

**ცნობისთვის: ცვლილებები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არის გათვალისწინებული. ქვეყანა პროპორციულ სისტემაზე გადადის.**

# ეკა ბესელია: 2020 წლის არჩევნები ყველაზე პრინციპული იქნება, რაც 2012 წლის შემდეგ ჩატარებულა



**პირველად მაქვს შესაძლებლობა, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფის ფორმატში მივიღო მონაწილეობა, გადამწყვეტი ეტაპია, რადგან საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება მალე უნდა მოხდეს,** — ამის შესახებ დამოუკიდებელმა დეპუტატმა ეკა ბესელიამ განაცხადა. მისი თქმით, ძალიან პრინციპულია ეუთოს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიების მიერ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე მოცემული რეკომენდაციები.

**„შესრულება დაგვევალა და ეს ცვლილებები ამის საპასუხო უნდა იყოს, სადაც ყველა ცვლილება არ არის ასახული. იმედი მაქვს, რეკომენდაცია, რომელიც ეხება, პარტიების დაფინანსების წესს, სარეკლამო დროით სარგებლობას და პროცედურულ უსწორებებს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს, ხელისუფლება გაითვალისწინებს, რადგან 2020 წლის არჩევნები ყველაზე პრინციპული არჩევნები იქნება, რაც 2012 წლის შემდეგ ჩატარებულა.**

**ხელისუფლებისთვის მთავარი გამოწვევაა, მზად არის თუ არა, რეკომენდაციები, რაც მოგვცეს, კანონმდებლობაში ასახოს“,** — განაცხადა დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

# 11 ათასამდე თანამშრომელს ხელფასებს მოუმატებთ

„საქართველოს რკინიგზა“ თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატების თაობაზე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:




„სს „საქართველოს რკინიგზა“ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აცხადებს, რომ კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად უსმენს და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს, დააკმაყოფილოს თანამშრომელთა საჭიროებები და მოთხოვნები. სწორედ ამიტომ, დასაქმებულთა იმ კატეგორიას, რომელთა ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება, ხელფასი ემატება 10%-ით. რაც წლიურად დაახლოებით 18-20 მილიონ ლარს შეადგენს და ეს ამ ეტაპზე ის მაქსიმუმია, რისი ფინანსური რესურსიც გამოიძებნა. ამასთანავე, უკლებლივ ყველა რკინიგზელს საჩუქრის სახით წელიწადში 2-ჯერ ფიქსირებული თანხა გადაეცემა.

ხელფასების 50%-იანი მატების მოთხოვნა და/ან განხილვა არარეალურ, პოპულისტურ საკითხს წარმოადგენს და ვინაიდან თითოეულმა რკინიგზელმა ზედმიწევნით კარგად იცის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, სიმართლეს არ შეესაბამება განცხადებები, რომ დაახლოებით 4800 რკინიგზელი გაფიცვისათვის ემზადება. მეტიც, „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი“ აერთიანებს 400-მდე წევრს და მას არ გააჩნია ლეგიტიმაცია, სრული კოლექტივის სახელით ისაუბროს და მით უფრო დააანონსოს გაფიცვები, შეუსრულებადი მოთხოვნების საპირისპიროდ.

ამასთან, გაფიცვის არავითარი წინაპირობა ამ ეტაპისათვის არ არსებობს, რადგანაც წლების განმავლობაში პირველად ხდება ხელფასების საყოველთაო მატება და თავად „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირიც“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ 10 აგვისტოს გამგეობის სხდომაზე განიხილავენ გაფიცვის ფორმას და დროს.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ — ნებისმიერ ლოგიკურ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომპანიის მენეჯმენტი მოლაპარაკებებს მართავს და საუბრობს თანამშრომლებთან, თუმცა ხელფასების 50%-იან მატებასთან დაკავშირებით დანიშნულ მედიაციის პროცესში მონაწილეობა რომ ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ამასთან დაკავშირებით საჯარო განცხადებები მედიასივრცეში უკვე გაკეთდა, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რკინიგზას“ ოფიციალური შეტყობინება მედიაციის კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით არ მიუღია.





## ღია წერილი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს

# კოოპერატივების მარცხი ქართული სოფლისთვის კატასტროფა იქნება

**ბატონო ბიძინა,**

დღეს ქართული სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება, არ გააჩნია არათუ სამეწარმეო პროექტების დაფინანსების ან თანადაფინანსების შესაძლებლობა, არამედ გაჭირვებით ახერხებენ ყოველდღიურ თავის გატანას. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აგრარული სექტორისადმი არასისტემური მიდგომები, დარგების უკუშედეგების მომტანი ორგანიზაციული მოწყობა და მცირემიწიანობის პრობლემა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე გახდა ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისახება ჯინის (სოციალური უთანასწორობის) ინდექსში (0,40), რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდანაც კი ყველაზე მაღალია რუსეთის შემდეგ. ასეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო განაპირობებს სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ დონეს (2002 წელთან შედარებით მოსახლეობა 36%-ით არის შემცირებული). **სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციებლობის ძირითადი მიზეზია.**

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში, სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და ხელშემწყობი ფუნქცია. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკური, ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას და ცალსახად განსაზღვროს, რომ არსებულ სიტუაციაში, მცირემიწიანი მოსახლეობისთვის, მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი, პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნა და კოოპერატივის ფარგლებში დამატებული ღირებულების გენერირება, სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მოთხოვნადი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, სიღარიბის დაძლევის, მიგრაციის შეჩერების და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირიც, რაც გამოიხატა თუნდაც იმაში, რომ მან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით განახორციელა პროგრამა ENPARD-1, რომელმაც რეკომენდაციები სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ინსტიტუციური გაძლიერების შესახებ ასახა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების კონცეფციაში.

**ამდენად, სრულიად გაუგებარია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიცია: იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ფორსირებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერაციის პროცესის მნიშვნელობის ადეკვატურად გაზრდილიყო მხარდაჭერა და ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, მომხდარიყო მისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მიიღო სრულიად არაადეკვატური და არაკვალიფიციური გადაწყვეტილება: ქვეყანაში კოოპერაციული სისტემის ერთადერთი მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი უწყების — სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ გაუქმების და მისი ფუნქციების სხვა უწყების მიერ შეთავსების შესახებ.**

აგრარულ სექტორში კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისგან თავის შეკავება ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე და კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ პრობლემებს.

კოოპერაციის მხარდაჭერის პრიორიტეტულობას უკვე აღიარებენ ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებიც. არ არის რთული იმის შეფასება, თუ რამდენად „მომგებიანი“ იქნება წინასაარჩევნოდ აღნიშნული სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილება პოლიტიკური თვალსაზრისით.

სადღეისოდ ქვეყანაში რეგისტრირებულია ათასზე მეტი აგროკოოპერატივი. მიუხედავად კოოპერატივების განვითარებისა, სააგენტოს შეზღუდული შესაძლებლობებისა და მწირი საბიუჯეტო დაფინანსებისა, მისი ძალისხმევით განხორციელდა ან განხორციელების პროცესშია არაერთი შედეგიანი პროექტი მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და თხილის წარმოების კუთხით.

კოოპერაციის პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში შეიქმნას კოოპერაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს საკრედიტო და მარკეტინგულ კოოპერატივებს, საგარანტიო ფონდებს, სხვადასხვა ტიპის კოოპერაციულ გაერთიანებებს, ასოციაციებს, კოოპერაციულ ბანკებს და სხვ. აღნიშნული ინფრასტრუქტურის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ნორმატიული-საკანონმდებლო საფუძვლების და შესაბამისი პროგრამების მომზადებას, რაც სხვა ქვეყნებში ხორციელდება სპეციალიზებული ინსტიტუტების, ასოციაციების ან სააგენტოების მიერ.

დღეს საქართველოში გარდა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა“ არ არსებობს არც ერთი კვალიფიციური ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილი იქნება კოოპერაციული შიგასაწარმოო ურთიერთობების და სისტემის განვითარების გამოცდილების სპეციფიკური ცოდნით, რაც სააგენტოს პერსონალმა შეიძინა მისი არსებობის 6 წლის განმავლობაში. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ კოოპერაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირების და მისი მართვის ფუნქციების შეთავსება, სადაც არც მმართველ პირებს და არც პერსონალს ამ სფეროში არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ აქვს, თუნდაც ამ უწყებაში არსებობდეს ქვედანაყოფი, კოოპერაციის პროცესის მართვის ნარჩენი ფუნქციებით.

**სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ გაუქმება ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის მთავრობას არა აქვს საკმარისად გაცნობიერებული ამ პროცესის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა და კვლავ არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების გამო, აგრარულ სექტორზე გაწეული სოლიდური ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალქმედითუნარიანი, ან სულაც უკუშედეგის მომტანიც კი, როგორც ეს ხდებოდა განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია:

**1. მოხდეს სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ სამართლებრივი სტატუსის შეცვლა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს არასამთავრობო, არასამეწარმეო იურიდიული პირი ა(ა)იპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელსაც ექნება უფლება, პარტნიორის სტატუსით შევიდეს მის მიერ დაფინანსებულ კოოპერატივებში და უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მართვაში, საიდანაც გაუჩნდება საკუთარი შემოსავლები დივიდენდების სახით; ამ გზით ეტაპობრივად შემცირდება მისი სახელმწიფო დაფინანსება და 2-3 წელიწადში იგი სრულ ეკონომიკურ თვითმმართველობაზე გადავა;**

**2. ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, მოხდეს სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც სტრუქტურული, ასევე საკადრო კუთხით.**

საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე სისტემური ცვლილებების და ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას. ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენი მონაწილეობით განვიხილოთ მის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.



**პაატა კოღუაშვილი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

## ბუნების დაცვისთვის დაღუპული რეინჯერების ოჯახები ყოველთვიურ კომპენსაციას მიიღებენ

ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც, გარემოს დაცვისას სამსახურებრივი მოვალეობის დროს გარდაცვლილთა ოჯახის წევრები ყოველთვიურ კომპენსაციას მიიღებენ. კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე მომზადდა. ის ძალაში 2019 წლის 1 აგვისტოს შევიდა. კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N 4500-IIს) დაზარალებულთა ოჯახებისთვის ყოველთვიურ, 1000-ლარიან კომპენსაციას ითვალისწინებს. ის გადაეცემა მათ ოჯახებს, ვინც სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო/სამაშველო სამუშაოებში მონაწილეობის, ან კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ან ამ დროს მიღებული დაზიანებით დაიღუპა. კომპენსაცია ვრცელდება კანონის ამოქმედებამდე მომხდარ შემთხვევებზეც.

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ოთარ დანელია, ზაზა ხუციშვილი, ხოლო კანონპროექტის ინიციატორები — პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ოთარ დანელია, ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი, გოგა გულორდავა, კობა ლურსმანაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი ხახუბია, გოგი მეშველიანი, სულხან მახათაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ირინე ფრუიძე, ანრი ოხანაშვილი, ცოტნე ზურაბიანი, ირაკლი მეზურნიშვილი, სვეტლანა კუდბა და მერაბ ქვარაია.

კანონპროექტის დამტკიცებას 2 წელზე მეტი დასჭირდა. ის საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით 2019 წლის 17 აპრილს დაამტკიცა. დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაერთიანება იყო.




# ყოველთვის მეცოდებოდით, ახლა აღარ მეცოდებით...

## ვეუბნები კუდამოძუებულ გვარამიას

**ძალიან** კარგი იურისტი ვარო, განაცხადეთ.

ჟურნალისტი როგორი ბრძანდებით?

ალბათ, როცა დაგჭირდებათ, ან სიტყვა მოიტანს, ამასაც იტყვით, ძალიან კარგი ჟურნალისტი ვარო(?!).

მაგრამ ერთხელ მეც თქვენსავით გავკადნიერდები და დაგასწრებთ: ძალიან კარგი ჟურნალისტი ვარ (ვერ დაიჯერებთ, მაგრამ შემრცხვა).

თქვენი(გვარამია, გაბუნია, კვესიტაძე, მელაძე, ჟორჟოლიანი...) უბედურება კი ის არის, რომ არაფრის გრცხვენიათ.

* * *

**დიახ**, ძალიან კარგი ჟურნალისტი ვარ!

ახლა უკვე ნაკლებად შემრცხვა.

ბაბუა ეუბნებოდა ნოდარ დუმბაძეს, თუ სინდისის ძარღვს ერთხელ გაიწყვეტ, მერე ადვილად იცხოვრებო.

საკუთარ თავს მაინც გამოუტყდით: ხომ ადვილად ცხოვრობთ?

უფრო ზუსტად, ცხოვრობდით.

ბიძინა ივანიშვილს კი მხოლოდ იმიტომ ებრძვით, რომ დაუმსახურებლად მიღებული სიკეთეები გამოგაცალათ.

ჩემი ოცდაათი წლის ხელფასი რომ შეკრიბოთ, თქვენს ერთი თვისას ვერ გაუტოლდება.

რით დაიმსახურეთ?!

პროკურორობით თუ მინისტრობით?!

იურისტობით თუ ჟურნალისტობით?!

რა შექმენით?!

რა დაწერეთ?!

რა დახატეთ?!

რა გადაიღეთ?!

ტელევიზია?!

ეს ხომ ეროსი კიწმარიშვილმა შექმნა?!

თქვენ კი მდაბიურ და ცრუ არხად აქციეთ.

* * *

**ძალიან** კარგი იურისტი ვარო, შეგვახსენეთ.

იქნებ ძალიან კარგი ჟურნალისტიც ხართ?!

ეს ნამდვილად არ შემშურდებოდა.

თქვენი კარგად ცხოვრებაც არასოდეს შემშურებია.

პირიქით, ყოველთვის მეცოდებოდით, რადგან სწორედ ამან გადაგაგვარ(ამი)ათ.

ახლა აღარ მეცოდებით, რადგან გადმოგვარ(ამი)ების შანსი მოგეცათ.

გამოიყენეთ...

**იოსებ ჭუმბურიძე**

# „მოდელირებული ქრონიკა“ ადამიანის ფსიქიკურ ზემოქმედებაზე გაატარეს“

**„მავანნი კვლავ ცდილობენ სახელმწიფოს ისტერიულ რელსებზე გადართვას, რათა სულ განცდაში ვიყოთ, სულ რაღაც საშიშის მოლოდინში. ჩვენ არ ვდავობთ იმაზე, რომ ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები ოკუპირებულია; არ ვდავობთ, რომ გამოწვევებია ჩვენ წინაშე. ასევე, არ ვდავობთ, ჩვენი სამშობლო ჩვენი საპატრონოა, ჩვენი განსავითარებელი და ჩვენი შესანარჩუნებელი ის მშვიდობა, რომელიც ჩვენი შვილების მომავალია“,** — ამის შესახებ



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კობა კობალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ტრაგედიაა, რომ კონკრეტულ ქმედებებს კონკრეტული შეფასებები არ ეძლევა ან დაგვიანებულია.

**„2008 წელი იყო უდიდესი ტრაგედია. ნებისმიერი ასეთი დაპირისპირების და საომარი მოქმედების დროს ქვეყნის გენოფონდის საუკეთესო ნაწილი მიდის. ჩვენ თუ დავაკვირდებით იმ პროცესებს, რომლებიც იქ მიმდინარეობდა, აღმოვაჩენთ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეები და სამხედროები, შემართებული ახალგაზრდები წავიდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ აღასრულეს ყველაზე დიდი — სიკვდილით სიკვდილს აჯობეს. მაგრამ, რეალურად, ჩვენ თითოეული მსხვერპლი ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ეს ყველაფერი კი წავიდა იმისკენ, რომ ბოლოს ადამიანის ფსიქიკურ ზემოქმედებაზე აღმოაჩინეს და გაატარეს „მოდელირებული ქრონიკა“. ეს კიდევ ტრაგედია იყო. ჩვენ მივდივართ რეალური შეფასებისკენ. ჩვენი ყველაზე დიდი ტრაგედია არის ის, რომ კონკრეტულ ქმედებებს კონკრეტულ შეფასებებს არ ვაძლევთ ან ვაგვიანებთ“,** — განაცხადა **კობა კობალაძემ.**

# სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებები სერიოზული ფიქრის და განსჯის საგანი უნდა გახდეს, როგორც სამართლიანობის აღდგენის ახალი ეპოქა.**

დემოკრატია რომ პატრიოტი და განათლებული ხალხის საქმე ყოფილა, 30 წლის მერე მაინც უნდა მივმხვდარიყავით. ნუთუ, საკმარისი არაა ამ ხნის განმავლობაში დემოკრატიის მერხებთან ჯდომა, რატომ არ გამოგვაქვს დასკვნები საარჩევნო გაკვეთილებიდან და სანამდე უნდა ვიაროთ შეცდომებით.

**დემოკრატიის ნიღბით დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება** მარაზმად იქცა და ის, ვინც ძალადობრივი რეჟიმის გამო ციხეში უნდა იჯდეს — ახალ გადატრიალებებს გვიწყობს. იქ ამოყოფენ თავს, სადაც არ ელი და პოულობენ პროვოკაციის საბაბს. გველივით სულ თუ არ ეფერე, დაგგესლავს და სულ იმის შიშით უნდა იყო, როდის გაგიმეტებს. შინაური მტერი, რომ გარეულზე უარესია, ცნობილია. პატრიოტულ გრძნობებს ამოფარებულები ისევ ხელისუფლების ასახიჩრა, უნდა გასამართლდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს შეცდომა სათავისოდ გამოიყენეს რეაქციულმა ძალებმა, რომელთაც ნაკლებად აღელვებთ დაზარალებული ადამიანების ბედი. ტელევიზიით დღედაღამ ატრიალებენ ამ ფაქტებს, რუსის გამო თუ როგორ გაიმეტეს ქართველები, მშვიდობიანი მომიტინგეები, ხოლო ვერ ნახავთ ვერც ერთ კადრს, როცა პოლიციელებს სცემენ. ცხადია, ისინი რუსების გინებისთვის ფულს იღებენ და ამერიკელებიც კარგახანი არ მოგვეშვებიან, გვასწავლიან, როგორ ვიცხოვროთ, ვის ავაშენებინოთ დიდი პორტები და ვის — არა, როგორ დავისვათ თავზე ლგბტ-ს წარმომადგენლები და ა.შ.

რამდენად ძლიერად აქვთ ფესვები გადგმული „ნაციონალებს“, აქედანაც ჩანს: სამშობლოს ღალატი სამშობლოს სახელით, გადატრიალება — დემოკრატიის სახელით. მილიარდები წაიღო სააკაშვილმა, სხვებმაც დაინაწილეს ქვეყნის ქონება და ამ ძალის მორევა მხოლოდ „ოცნებას“ არ შეუძლია. კიდევ ერთი უბედურებაა პარტიული ტელევიზია




კენ ილტვიან პროვოკაციებით, რევოლუციებით, ვიდრე არ შეფასდება 1991-1993 წლების მოვლენები, ვარდების რევოლუცია და 2003-2012 წლების ძალადობრივი რეჟიმი, 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება — პარლამენტზე შტურმიც სულ დასწრებაზე იქნება. დღემდე ჭირს მტყუან-მართლის გარჩევა. დამანგრეველი კი „ნაცბანდის“, მისი პარტიული ტელევიზიის, „რუსთავი-2“-ის პარპაშია, რასაც განაპირობებს ამ ხელისუფლების კოჰაბიტაცია, მერედა ვისთან? ვინც გაძარცვა ქვეყანა? საკუთარ ხალხს მოუწყო გენოციდი, 2008 წელს საბაბი მისცა რუსებს ბოლომდე მიეყვანა აფხაზეთ-ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ყველა სტრატეგიული ობიექტი ჩააბარა, ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით ქვეყანა რუსეთს მიაბა და ახლაც აქეთ გვიკითხავს მორალს ეროვნულ ღირებულებებზე.

ისინი კვლავაც ხალხის სოციალური მდგომარეობით სპეკულირებენ და ხელისუფლების შეცდომებს არიან ჩაბღაუჭებული. მართლმადიდებელთა საპარლამენტაშორისო ასამბლეის ჩატარება და რუსი დეპუტატის პარლამენტში მოწვევა შეცდომა იყო. ეს ფაქტი ორმაგად გამოიყენეს „ნაციონალებმა“ და მისმა განაყოფმა ბოკერიას ხელმძღვანელობით. ერთი, რომ რუსები გაამწარეს, სანქციები მიაღებინეს საქართველოს წინააღმდე (ამათი მიზანი ხომ ქვეყნის დაქცევაა) და მეორე — ახალგაზრდები მტრულად განაწყვეს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და შეეცადნენ, გულანთებულთ პროტესტი სახელმწიფო გადატრიალებაში გადაეზარდათ და დაიწყო შტურმი პარლამენტის შენობაზე; 3 საათის განმავლობაში უტევდნენ პოლიციელებს, ცემდნენ და იტაცებდნენ, არადა, ნორმალურ ქვეყანაში მათთან მიახლოებაც აკრძალულია. მიუხედავად ამისა, დიდი შეცდომა იყო რეზინის ტყვიების გამოყენება, რაც, საერთოდ, უნდა აიკრძალოს და ყველა პოლიციელი, ვინც უფლებას გადაამეტა და ადამიანები და-

„რუსთავი-2“, რომლის ყოველი გადაცემა საბრალდებო დასკვნას ჰგავს. მართალია, ისინი ააშკარავებენ ნაკლოვანებებს და კორუფციას, მაგრამ ეს მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით არ არის ნაკარნახევი. თუ ასეა, დადებითი პროცესებიც ხომ უნდა დაინახო? მასთან, ყველაზე უარესი ის არის, რომ აქ გინების მარათონია გამართული. და ის კონკრეტულ პიროვნებას კი არა, მთელ ერს ეხება და სახელმწიფოსაც აზიანებს იმდენად, რომ შესაძლოა, ომის საბაბად იქცეს მტრული სახელმწიფოსათვის. გვარამიას და მისნაირების ზრახვები გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, ქვეყანაში კვლავ რატომ გვრჩება სივრცე რევოლუციებისა და გადატრიალებისათვის.

მთავარი სპეკულირების ფაქტორი ხალხის სოციალური სიდუხჭირეა, მაგრამ უფრო მთავარი „ოცნების“ ლოიალობა და უნიათობაა — ხალხის დაკვეთა პირადი ცხოვრების მოგვარება არ ყოფილა, მათ უნდა გაესამართლებინათ ძალადობრივი რეჟიმი, რომელიც პირიქით მიუბრუნდა და იქით ასამართლებს... ახალგაზრდებმა იციან, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, ვინ არიან „ნაცები“, „რუსთავი-2“, რომლებიც ვაჭრობენ თავისუფლებით და დემოკრატიით, ყველაფერს იკადრებენ, რათა ისევ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ასეთი სპექტაკლებისათვის კიდევ ბევრი სცენარი აქვთ გამზადებული. მათი ტელევიზია „რუსთავი-2“-იც ამერიკელი დალესის გეგმით მუშაობს: „თუ გინდა, ქვეყანა დაიპყრო — გარყვენი ახალგაზრდობა“. ისინი ებრძვიან მართლმადიდებლობას და ემსახურებიან ნეოფაშისტურ რეჟიმს, როცა ივანიშვილს დედას აგინებენ, გადაბრუნებული სიტყვის თქმას რატომ ვერ ბედავენ სააკაშვილზე ეს ვითომ გამბედავი ბიჭები? როცა ეს შერჩათ, მერე პუტინზე გადავიდნენ. ამას უნდა ხედავდნენ ახალგაზრდები.

იხ. 8 გვ.



# თუ „იმ“ არხს ყოველდღე უსმენ...

**ისევ ჩახუთული ჰაერი, ღრუბლიანი ზეცა, ზოგჯერ თენდება, დილა და ნიავი კი არ იძვრის, ერთი სიტყვით — ცხელა. თუმცა ბუნების მიერ მოვლენილი ეს სიცხე რას დაგვაკლებდა, ყველგან და ყველაფერში რომ არ ცხელოდეს. ამ მხრივ კი ჩვენთან მნიშვნელობა არა აქვს, ზამთარ-ზაფხულს. ზოგჯერ ზამთარშიც ძალიან „ცხელა“! რატომ? რა ვიცი-მეთქი, — მინდა, გითხრათ, მაგრამ ეს სიცხე ისე მხუთავს და მახრჩობს, ხომ უნდა ვიცოდე, რა არის ან საიდან მოდის.**

ძვირფასო მკითხველო, თქვენთან ერთად მინდა, ვიმსჯელო, რა ხდება, რაშია საქმე. თუ თქვენც დამიჯერებთ, ვფიქრობ, რომ თავად ადამიანი შეიცვალა, ტემპერატურა ამ ცვლილებიდან მოდის. უმადურობა, გაუტანლობა, შური და სიძულვილი — აი ის, კოცონის გამჩაღებელი საწვავი მასალა, რაც იწვევს კოცონის გამუდმებულ ბრიალს. საწვავი კი ჰქვია, იმ ზემოთ ჩამოთვლილ რეალიებს, მაგრამ ინთება და არ იწვის, არ იფერფლება, ჯერჯერობით მდგრადია... ზოგს ჰგონია, რომ ეს ცეცხლი მხოლოდ ზემოდან მოდის. არა, — ყოველი მხრიდან, როგორც ზემოდან, ასევე ქვემოდან, მარცხნიდან და მარჯვნიდანაც... ისეთი აყალ-მაყალი და გაუგებრობაა, ვინ ვის რას აბრალებს, ვინ ვის რას ესვრის, ძნელად გასარჩევია.

ყველაზე მეტად, იცით, რამ გამაკვირვა? ჭკვიანი ხალხი რომ მეგონა, მათ სიტყვას და აზრს სანდოდ რომ მივიჩნევდი, ახლა მოდით და ნახეთ, რას ამბობენ. არ ვიცი, რამ შეატრიალა მათი ჭკუა და გონება! დასხდნენ და „მსჯელობდნენ“, მერე თავადვე ასკვნიდნენ, რომ მოწინავე კი არა, თურმე საქართველოს პირველი ტელევიზიაა „რუსთავი-2“, თუ სიმართლე გინდა, თუ გინდა გაიგო, რა ხდება ქვეყანაში (საქართველოში), მხოლოდ მას უნდა უსმინოო... დემოკრატიულობის ფლაგმანიაო, ამას ამბობდნენ თავადვე სხვადასხვა არხების წამყვან-წარმომადგენლები. აღიარებდნენ იმ ტელეარხის პირველობას, ობიექტურობას, სამართლიანობას... ტელეარხისას, საიდანაც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ მახინჯი, ხშირად განგებ დამახინჯებული სურათები „შუქდება.“ მთავრობის საქმიანობა მუდამ შავ და ჯოჯოხეთურ ფერებშია წარმოდგენილი, ყოველი უბედურება ჩვენი ხალხისა იმათგან მოდისო, ჩაგვძახიან.

ვინც ამ არხს ყოველდღე უსმენს, პარალელურად ბარგსაც ალაგებს ჩემოდნებში უთუოდ, ემზადება საზღვარგარეთ გასაქცევად, სხვაგვარად როგორ უნდა იყოს, როცა მთავრობა პატიოსან და კეთილ ადამიანებს მახეს უგებს თურმე და ციხეშიამწყვდევს... არადა, ეს „დამწყვდეულები“ ნამდვილი „დემოკრატები“არიან, გაბედეს და რუსეთი ოკუპანტიაო, — ასეთი წარწერებით ბანერები გამოიტანეს, ამათმა (მთავრობამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ) კი შავი დღე აყარესო, ასე „მსჯელობდა“ ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე თავშეყრილი მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი. აღიარებდნენ, აქებდნენ და არც კი რცხვენოდათ, რატომ თავადაც არ იყვნენ ეგრეთ წოდებული დემოკრატიის ფლაგმანები, მართალი სიტყვით აღჭურვილები. ვინ დაუშალათ! ერთი სიტყვით, ის მინდა, ვთქვა, რომ თავად ჟურნალისტების ერთი ჯგუფი აღიარებს — ჩვენ არაფრად არ ვვარგივართ, აი, „რუსთავი-2“-ია ევროპული არხი, დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვის მებაირახტრეო. თურმე, ამ ერთ არხზე ყოფილა დამოკიდებული თავისუფალი ქართული მედიის ყოფნა-არყოფნა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ თავს იმცირებენ და რა მიზნით, ეს კი ნამდვილად გაუგებარია!.. რამდენი ჟურნალ-გაზეთია, რამდენი რადიო და ტელეარხი დღევანდელ საქართველოში, თავისუფალ სიტყვას რომ უშიშრად წერს და ახმოვანებს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს კარგად აქვს შესწავლილი მასის (ხალხის) ბუნება, იმ მასისა, რომელსაც მიუნჰაუზენის ტყუილები და მძიმე ეპიზოდებით დატვირთული ზღაპრები უფრო საინტერესოდ მიაჩნია. ამ მატყუარათა, ეგრეთ წოდებული, რეიტინგიც უთუოდ აქედან მოდის...

მართალი რომ გითხრათ, მე და ჩემს მკითხველს სრულიადაც არ გვაინტერესებს შავბნელი ტყუილებით მოპოვებულ რეიტინგოსანთა ამბავი. ჩვენ ჩვენი სოციუმის ყოფა-ცხოვრება, ბედი თუ უბედობა გვაინტერესებს. რატომ არის ჩვენი ხალხი დღემდე გაუცნობიერებელი, რატომ ჰგონია რომ მხოლოდ მთავრობამ, ან ვინმე ერთმა კაცმა უნდა გამოიყვანოს ერი იმ უსაშველო ლაბირინთიდან, რომელშიც ჯერაც ვართ. გამოიყვანოს ისე, რომ საზოგადოებამ, ხალხმა, ერმა ხელი არ გაანძრიოს, არ იშრომოს, არ იმეცადინოს, არ იღვაწოს და მხოლოდ დემონსტრაციების მართვით მოიხადონ ვალი ღმერთისა და სამშობლოს წინაშე. სახალხო გამოსვლები, აქციები, პროტესტები საზოგადოების განვითარების თანმხლები რეალიებია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ სად, როდის და რა სჯობს. „ ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.“ და დაშავდა კიდეც! გავაგდეთ ვინმე გავრილოვი —რუსეთის „დუმის“ წევრს აქ რა ესაქმებაო, კი, კარგად მოვიქეცით, მაგრამ, რა, განა არ ვიცით, რომ არა ერთი რუსი მოღვაწეობს საქართველოში (კორპორაციები, ბიზნესი), ცხოვრობენ აქ ოჯახებით და თავს კარგად გრძნობენ.

**არ არსებობს მთავრობა, გასაკრიტიკებელი რომ არ იყოს (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვინახავს!), მაგრამ კრიტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი, მსმენელისთვის გასაგები, რეალური ფაქტებით დასაბუთებული. როდესაც გვანახებენ კადრებს, ყველა თვალხილულისთვის ადვილად დასანახს და გასაგებს, და მაინც, თავიანთებურად გვიხსნიან: აქ მელია და მგელი კი არ დაძრწის, არამედ ბულბულები გალობენო, — ამაზე მეტი დაცინვა რა უნდა იყოს.**

გავრილოვის დანახვაზე გაგვახსენდა, რომ რუსეთი ოკუპანტია? და რა მოიტანა ამ „გახსენებამ“? — შიდა რეაქციული, ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ძალების გააქტიურება, პარლამენტის შტურმით აღების მცდელობა, ხალხისა და პოლიციის დაპირისპირება, ზოგიერთი მათგანის დასახიჩრება, დაინვალიდება, მთელ მსოფლიოში სახელის გატეხა: საქართველოში ბუნტია, იქ ჩასვლა, ტურისტული მოგზაურობა ან დასვენება საშიშია, დიდი საფრთხის შემცველიაო. ასეთი აზრის გავრცელებამ მართლაც სრულიად ჩააგდო წლევანდელი ტურისტული სეზონი და აზარალა სტუმრებისათვის საგულდაგულოდ მომზადებული დაბებისა და კურორტების ეკონომიკა, ანუ საქართველოს ეკონომიკა, აზარალა ხალხი! ახლა, ეს ლარის კურსის ზღვარს გადასული ვარდნა რას და ვის დავაბრალოთ? ასეა, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, — ქართველი ხალხის ნათქვამია, ხომ? მერე, ვინ ზომავს ან სიტყვას, ან საქმეს, სად არის გამზომველი! არც გაზომვა და არც მოზომვა საქართველოში არ ხდება. უზომობა კი, იცოცხლე, ბევრს ახასიათებს, უზომოდ იძენენ და იხვეჭენ მხოლოდ თავისთვის. სამშობლოსა და ქვეყნისთვის ვიღვწითო, მაგრამ ჯერ არ მისულან სამშობლომდე, ვერ მოიცალეს. რასაც ვამბობ, მხოლოდ მთავრობის კი არა, თითოეული ჩვენგანის გასაგონად ვამბობ. სამშობლოსთვის ვერ მოგვიცლია! რომ ჰკითხო, მესამე თუ არა, მეოთხე მთავრობა ჩვენ ვართო, — მასმედიას ვგულისხმობ და რა მთავრობა, რისი მთავრობა, ტელევიზიის ყველა არხი, თითქოს პირი შეუკრავთო, ერთნაირად, ერთ ხმაზე გვესაუბრება. ახალი ამბები კი უნდა გვამცნონ, მაგრამ ერთგვაროვანი, გაზვიადებული ჩხრეკით, მოსაბეზრებლად, მთავრობაზე ცუდად გადაკიდებული, ერთი და იმავე რესპონდენტებით...

არ არსებობს მთავრობა, გასაკრიტიკებელი რომ არ იყოს (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვინახავს!), მაგრამ კრიტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი, მსმენელისთვის გასაგები, რეალური ფაქტებით დასაბუთებული. როდესაც გვანახებენ კადრებს, ყველა თვალხილულისთვის ადვილად დასანახს და გასაგებს, და მაინც, თავიანთებურად გვიხსნიან: აქ მელია და მგელი კი არ დაძრწის, არამედ ბულბულები გალობენო, — ამაზე მეტი დაცინვა რა უნდა იყოს. სწორედ ამ ფაქტზე იყო რომ გაიკვირვა პოეტმა დათო მაღრაძემ — მე რომ მეკითხებით, განა თქვენ ვერ ხედავთო? ხოლო პოლიტოლოგს, ძალიან მშვიდსა და იუმორით სავსე ადამიანს, ლამის ნერვებმა უმტყუნა „კავკასიის“ არხზე კორესპოდენტთან საუბრისას: — აბა მითხარი, მოძალადეები არ ურტყამდნენ თავში პოლიციელებს და არ მიიწევდნენ პარლამენტისაკენ! — რამდენჯერმე ჩაჰკითხა მან ჯიუტ კორესპონდენტს ბრაზიანი ხმით და როგორც იქნა, ძლივს დაითანხმა... დიახ, ასეა, ჩვენი ტელეწამყვანები, ხშირად, ამა თუ იმ საქმეს ცალმხრივად, ტენდენციურად წარმოგვიჩენენ...

ამიტომაც, ისედაც არეულ-დარეულ სიტუაციებში მყოფნი, კიდევ უფრო გაუგებრობაში ვართ.

ცხოვრება, სწორად თუ ირიბად, მაინც მიდის, ფაქტი ის არის, რომ სახელმწიფოს თეთრ კარკასში ჯერაც ვერ ამოვაყოფინეთ თავი (მგონი არც შავ კარკასში ვართ!), ვაშენებთ და ამ საქმიანობაში ვიღაცებმა ჩუმ-ჩუმად ბევრი რამ სათავისოდ ისარგებლეს, ზოგი გამდიდრდა, მილიონერი გახდა, ზოგმა კოშკი აიშენა, ზოგმა სასახლე, ზოგმა რომელიღაც ტელეარხი მიითვისა თუ შეიძინა, — რას გაიგებ. აღმოჩნდნენ ხაზარაძე-ჯაფარიძეები, არცთუ უავტორიტეტო ბიზნესმენები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ფულს ათეთრებდნენო... თუ ასეა, ეს დიდი უპატიოსნობა და სირცხვილია. მაგრამ საუბედუროდ, ჩვენ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ამ არეულობაში ვირის პატრონმა, ის საცოდავი ვირიც დაკარგა და ვინ უფრო საცოდავია, პატრონი თუ ვირი — ესეც არ ვიცით! ახლა ამბობენ, რომ ხაზარაძის ამბავი თერთმეტი წლის წინანდელი ამბავიაო, და, თუ თერთმეტი წლის წინ ფულს ათეთრებდა და დღემდე, ამდენ ხანს შერჩა, დანარჩენ წლებში არ გაათეთრებდა თუ რა?.. ბუნდოვანია ეს ყველაფერი.

ერთი სიტყვით, მასმედია „გალაღებულია“ ახალ- ახალი ინფორმაციების მოზღვავებით, ზოგიეთი მათგანი, პროკურატურის პარალელურად, ვითომ სიმართლის ძიებაშია, ამასობაში ლარი (თავისი ორასლარიანი პენსიით) ჯანდაბისკენ მიდის. შესაბმისად ძვირდება ნებისმიერი სასურსათო თუ სამრეწველო ნაწარმი... ამ დროს მავანი იკითხავს ალბათ, ტელევიზია რა შუაშიაო, მაგრამ ყველანი ვართ შუაში და მათ შორის ტელევიზია ყველაზე მეტად! ხელს უწყობს წაღმის უკუღმა ჩვენებას, მაყურებლის დაბნევას და გაუგებრობას! უპასუხოდ დარჩენილი კითხვები კი დღითი დღე მრავლდება. მასმედიაში (ტელეარხებზე) მნიშვნელოვანსა თუ უმნიშვნელო საკითხებზე დავას, აყალმაყალსა და შეხლა-შემოხლას ბოლო არ უჩანს. წლები გადის, დრო ამტკიცებს რომ ცხოვრება წუთისოფელია და ჩვენ კი ყველაფერში ვაგვიანებთ, დროულად არ ვზრუნავთ იმაზე, რაც მთავარია, რადგანაც იგი ყველამ დავივიწყეთ. და ეს მთავარი „იგი“ კი არა, — სამშობლოა, საუბედუროდ, დღეისათვის მხოლოდ სიტყვად დარჩენილი, ბევრისთვის შინაარსისაგან დაცლილი, სიფრიფანა, მსუბუქი.

დღეს განა სიტყვა — „სამშობლო“ შეედრება მძიმე და მეტად სოლიდურ სიტყვა „კაპიტალს“? მეტიაო! — კი იტყვიან, მაგრამ სად და რაში ჩანს ეს მეტობა.? ან ვისთვის არის მეტი, ნუთუ იმათთვის, ვისაც სამშობლო თავისი ქვითკირის მაღალი ღობით შემოკავებული სახლ-კარი და ქონება ჰგონია, ამ ღობის იქით არ იყურება, რა იცის, რომ სამშობლო ერთ დროს აყვავებული, სიცოცხლით სავსე, დღეს კი უპატრონოდ მიტოვებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, სასიკვდილოდ განწირული სოფლებიდან იწყება. მაგრამ სამშობლო მარტო ცარიელი მიწა როდია, არც ცარიელი სოფელია სოფელი. მთავარი ადამიანია! როგორ არ მოგაკლდება სიცოცხლის გარკვეული წლები, როდესაც გაიგებ, რომ ჩვენი სამშობლოს ბევრი სოფლის სკოლაში პირველკლასელი არა ჰყავთ, ბავშვები არ არიან, ესე იგი, არ არიან ოჯახები. და განა საკითხავი არ არის, თუ ვინ ან ვინმე ზრუნავს ამ უდიდეს პრობლემაზე? არ გამიგონია, არავინ ამის შესახებ არ საუბრობს, არ მსჯელობს, არ ფიქრობს, არ ზრუნავს და თუ პირიქით ხდება, გვითხრან, გაგვაგებინონ. ცოტა გველაპარაკონ „რუსთავი-2“-ის იწილო-ბიწილო საქმეებზე და მეტი სამშობლოს სიყვარულზე, ზრუნვასა და ჩვენს ადამიანურ მოვალეობებზე!..



**გულნარა სტურუა**



# სენაკის „დიდების მემორიალი“

**სამეგრელოში, სენაკის შუაგულში, დასასვენებელი პარკის ჩრდილოეთ მხარეს, ამაყად დგას ეროვნული გმირის, ქართველთა სამსხვერპლოზე თავდადებულ ჟიული შარტავას ძეგლი. ხოლო პარკის სამხრეთ მხარეს განფენილია „დიდების კუბი“ როგორც ომის საშინელების ეპოსის ამსახველი მემორიალი.**

,,ხსოვნის კუბი“ ორად გაყოფილ-გაჭრილი მემორიალია. კედლებზე თეთრი თაბაშირით გამოძერწილია 120-ზე მეტი ნატანჯი ფიგურა -საოცრება. ისინი დუმილითა და ტრაგიზმით ღაღადებენ ომის საშინელებას. ერთმანეთში აზელილი ცხენ- კაცის ფიგურები და ზემოდან გამოშვერილი შიშველმტევნიანი მკლავი მეტაფორაა — „შეჩერდი და მუხლი მოიყარე ამ საშინელების წინაშე.“ თავის დროზე ეს იყო ახალი სიტყვა ქანდაკებაში, მხატვრულად იმის გააზრება და თქმა , რომ ომი არასოდეს არ განმეორდეს.

თითქოს ფორმა მარტივია, არქიტექტორებმა ბეტონის კუბში გამოაქანდაკეს ომის ტრაგედიისა და სიცოცხლის მარადისობის ეპოპეა. შედიხარ გახლეჩილ კუბში და შესვლისთანავე ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება თითქოს ბუნებრივ მღვიმეში შედიხარ, სადაც ხელთუქმნელი სტალაქტიდები ჩამოღვენთილან. ამ შთაბეჭდილებას ძირითადად დეფორმირებული ფორმები აძლიერებს. ამიტომ აღიქმება ეს მემორიალი ძეგლად, რომელიც ეროვნული დრამის საზღვრებს სცილდება და ზოგადსაკაცობრიო ტრაგედიის ჟღერადობას იძენს.

სრულიად სამართლიანად, ამ ქმნილებას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ხელოვნების ნიმუშის აღმოსავლეთ მხარეს, სულ ოციოდე მეტრში დგას ფაშიზმთან მებრძოლი გმირის ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი, ხოლო დასავლეთით, ისიც მემორიალიდან ოციოდე მეტრზე, პოეტ გიორგი ჭალადიდელის ბიუსტი.. ხოლო პარკის ირგვლივ თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი ნაგებობები. აკაკი ხორავას სახელობის თეატრის შენობა, სადაც დიდი არტისტის სული და აჩრდილი ტრიალებს. ამ შენობას უკვე მიანიჭეს კულტურული ძეგლის სტატუსი იქვე, დასავლეთით, დგას სულიერების ტაძარი — იოანე ნათლისმცემლის საკათედრო სავანე, საიდანაც თითქმის მუდმივად ისმის ლოცვის ხმა.

**„დიდების მემორიალის“ იდეის ავტორები გახლავიან რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია, ასევე შოთა ბოსტანაშვილი და გიული გეგელია. ხოლო მოქანდაკეა ცნობილი ხელოვანი ვაჟა მელიქიშვილი. მემორიალის შექმნა დაიწყო 1976 წელს. მის განხორციელებას აქტიურად უჭერდა მხარს, მაშინდელი რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია.**

ავტორებისა და მოქანდაკის მრავალწლიანი შრომის შედეგად სკულპტურული კომპოზიცია შეიკრა. ის გაიხსნა 1984 წლის 9 მაისს, რასაც დაესწრნენ მაშინდელი ხელისუფლების, კულტურისა და განათლების მაღალი რანგის მოღვაწეები, სტუმრები ევროპიდან.

**„ხსოვნის კუბისგან“ მიღებული შთაბეჭდილება ქმნის შეგრძნებას, თითქოს მეხი დაეცა და შუაში გახლიჩაო. გაპობილი მემორიალის ორივე მხარეს გამოსახულია ჭრილობის, ტკივილისა და ტრაგედიის ამსახველი სიუჟეტები. როგორც არაერთმა ცნობილმა მოღვაწემ აღნიშნა, სენაკის „დიდების კუბი“ გახლავთ „დაღუპულთა ხსოვნის თავისებული რეკვიემი “**

ბედნიერი ვარ, რომ „დიდების კუბის“ მშენებლობაში მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს და ობიექტის მშენებლობის პასუხისმგებელს. შინმოუსვლელთა უკვდავყოფასთან ერთად, მისი დანიშნულება ისიცაა, საზოგადოებას და ომის შემდგომ თაობებს გააცნოს, თუ რა შეუძლია ბოროტებას, რომ ის დამანგრეველია, დამთრგუნველია და თაობების განადგურება შეუძლია.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი,**
**ქ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.**



◎ დედაუნივერსიტეტი

# 10 ნაკლებად ცნობილი ფაქტი უნივერსიტეტის ისტორიიდან



თსუ-ს სტუდენტებმა უნივერსიტეტის შესახებ ფილმი გადაიღეს. მასში მოთხრობილია ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რამდენიმე ფაქტის შესახებ. „უცნობი ისტორიების“ დამდგმელი რეჟისორი და პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბელქანიაა.

**1. როდესაც დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება გადაწყდა, თავდაპირველად ვერ შეთანხმდნენ, უნივერსიტეტი ჰუმანიტარული განხრის ყოფილიყო თუ ტექნიკურის. საბოლოოდ ჰუმანიტარული პროფილი აირჩიეს, რადგან ტექნიკური რომ აერჩიათ, ის ამიერკავკასიის მასშტაბის სასწავლებელი იქნებოდა და მოუწევდათ სწავლების ენად რუსული დაემტკიცებინათ;**

**2. უნივერსიტეტის შენობის ასაგებად შესაწირი არა მხოლოდ ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმაც გაიღეს. ფული გამოგზავნეს საინგილოდან და ლაზიკიდანაც... ზურმუხტის თვლები და 4 ათასი მანეთი შემოსწირა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა, ხოლო კოტე აბხაზმა — 500 მანეთი;**



**3. შენობის აგება პირველ ქართველ არქიტექტორს სიმონ კლდიაშვილს შეუკვეთეს. ამას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მანამდე მხოლოდ ეთნიკურად არაქართველი არქიტექტორები სჭარბობდნენ საქართველოში და ამის გამო ზოგი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ქართველები ამ პროექტს თავს ვერ გაართმევდნენ;**

**4. მშენებლობისას საძირკველში ერთი ბოთლი კახური ღვინო და იმდროინდელი პრესა ჩაატანეს;**

**5. წიგნები უნივერსიტეტში ფორნებით მოჰქონდათ და გადმოტვირთვისას ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ;**





**6. უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ქალი იყო, მედეა ღამბაშიძე;**

**7. უნივერსიტეტი თავიდან კერძო სასწავლებლად დაარსდა;**

**8. უნივერსიტეტის სტუდენტები ხშირად მიდიოდნენ ომში მოხალისეებად. 1921 წელს ივანე ჯავახიშვილმა თავადაც მოუწოდა სტუდენტებს, ქვეყანა დაეცვათ;**

**9. ბოლშევიკური არმია თბილისში რომ შემოვიდა, ივანე ჯავახიშვილი სახლში იმყოფებოდა. უთხრეს, უნივერსიტეტის გასაღებს ითხოვენო. თავად მივუტანო, თქვა ჯავახიშვილმა და უნივერსიტეტში წავიდა. იქ მისულმა კარი გააღო, გასაღებით შიგნიდან ჩაკეტა და განაცხადა, ახლა ვისაც უნდა და როგორც უნდა, ისე შემოვიდესო;**

**10. ლავრენტი ბერიამ ივანე ჯავახიშვილი დაიბარა და სთხოვა, მისი ცოლი, რომელსაც სკოლის ატესტატი არ ჰქონდა, უნივერსიტეტში მიეღო. ატესტატის გარეშე ვერ გამოვაო, უთხრა მეცნიერმა. „ბრძანება რომ იყოსო?“, — ჰკითხა ლავრენტი ბერიამ. „უნივერსიტეტში ბრძანებებს მე ვწერო“, — უპასუხა ჯავახიშვილმა.**

**თეა თოფურია**

*ფოტოების ნაწილი ამოღებულია ფილმიდან „უცნობი ისტორიები“.*



# რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

925

გამორიცხული არ არის, რომ მავანი და მავანი მომავალი დარვინები კიდევ წამოაყენებენ თეზისს, მაღალგანვითარებული არსებანი (რომელთაც ისინი თავიანთ თავს მიაკუთვნებენ) ადამიანებისგან წარმოიშვნენო. სენსაცია აბა ის იქნება!

926

თავის თავზე იმდენი გამარჯვება მოიპოვა, რომ საკუთარი უძლეველობა მოჰყირჭდა.

927

ადამიანის შექმნის დროიდან მის კონსტრუქციაში მომხდარი ყველა სრულყოფაგაუმჯობესება პროთეზებით განისაზღვრება.

928

იყავ ალტრუისტი – პატივი ეცი სხვის ეგოიზმს.

929

ტირანის მზარეულ ქალს ნუ ეკურკურები, შეიძლება რომ იმის ნახელავი კატლეტებით მოიწამლო.

930

პირდაპირ უტაქტობაა პროფესიონალი ჟონგლიორებისთვის ცეცხლთან თამაშის აკრძალვა.

931

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მონუმენტი, იმისთვის მერე პოზირებაც კი ძნელია.

932

ვინც სიზმარშია, არა სძინავს.

933

მშვენიერია ისეთ ჯუნგლებში ცხოვრება, სადაც ჯუნგლის კანონი არ მოქმედებს.

934

ადამიანი მოერევა ადამიანს.

935

ადრე რომ მცოდნოდა, რაც ახლა ვიცი, ახლა ეს არ მეცოდინებოდა.

936

სულით ღატაკთ მხოლოდ იაფი ოპტიმიზმი მოსდგამთ, რაც სინამდვილეში ძვირი უჯდებათ სხვებს.

937

გადარჩენილი საკუთარი თავი გამარჯვების დიდებული ნადავლია.

938

მოშინაურებული აფთრებიც ჭამენ მძორს.

939

ქარონი მიცვალებულთ წინასწარ ჩადებულ სიტყვებს აცლიდა გაგეთაგან.

940

ინტელექტუალური სივიწროვე ფართოვდება.

941

ლომის ხახაში ყოფნა არაფერია, საშინელია მისი პირის გემოს გაზიარება.

942

ზოგიერთნი წარმავალ აქტუალობას მიწინასწარმეტყველებენ. ჰგონიათ, რომ იმათზე ვწერ.

943

მისალმებისას ხელი ჩამოართვით ხოლმე. საპონს გასავალი ექნება.

944

როცა დასაცინი არაფერია, სატირიკოსნი იბადებიან.

945

რეგიონალური მწერალი ვიქნები. ჩვენი დედამიწით შემოვისაზღვრები.

946

ნუ ენდობით ადამიანებს. იმათ დიდი საქმეები ხელეწიფებათ.

947

ადამიანი მარტო არ არის! ვიღაც მაინც თვალს ადევნებს.

948

ხანდახან მზირს თავი ნათელმხილველი ჰგონია.

## დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

949

იამაყეთ ადამიანის მრავალმხრივობით, მაგრამ უკუღმა ნუ გადმოაბრუნებთ.

950

ხმამაღიდს არ უნდა უკვირდეს, მოლაპარაკენი შიგ რომ ნერწყვავენ.

951

გზის მაჩვენებლები ჯვრის ზიდვას არ ამსუბუქებენ.

952

ანგელოზი მაშინებს. იმდენად კეთილია, თუ მოინდომებს, ხელად ეშმაკად იქცევა.

953

ტაში რომ დაუკრა, ამისთვისაც კი ტაქტის გრძნობა უნდა გქონდეს.

954

ნუ განამუხტვინებთ მესანგრეებს ადამიანურ კომპლექსებს.

955

მომავლის საშინელება: ყბედი ძეგლები.

956

გამოქვაბულებისკენ ველარ მივბრუნდებით. ძალიან ბევრნი ვართ.

957

თანავარსკვლავედნიც კი არ არიან ვარსკვლავთა თავისუფალი ასოციაციები.

958

ჩავუფიქრდეთ, რისთვის უნდა ვსჯიდეთ უფრო მკაცრად: წინასწარგანზრახული თუ წინასწარგანუზრახველი მუცლადღებისთვის?

959

თვითგადარჩენის ინსტინქტი ხშირად თვითმკვლელობის იმპულსში გადადის.

960

სისხლი გწყურია? რწყილად იქეც.

961

ადამიანი მთელი სიცოცხლე თავს იჭამს, რათა კაციჭამია არ გახდეს.

962

ისტორიის ორპირ ქარში ადამიანებს სახეები ეღრიცებათ.

963

უფსკრული კი არა გვყოფს, არამედ დონეთა სხვაობა.

964

ენდეთ მოაზროვნე ადამიანებს, იმათ ბევრი რამის გააზრების უფლება არა აქვთ.

965

იცი თუ არა პაროლი, რათა შენს თავში შეხვიდე?

966

ვინც კანონს მუდამ ფეხებზე იკიდებს, იშვიათად რომ მაგრად იდგეს ფეხზე.

967

რომელი სატირიკოსიც საკუთარი სატირის იარაღს აბლაგვებს, თავს იკლავს.

968

ვაცების ფარა დამესიზმრა. თითოეული თავის ზანზალაკს მიაწკარუნებდა. უკან კი არც ერთი ცხვარი არ მისდევდა.

969

სად ვიპოვოთ გაბედულება? გაბედულნი იმას არ დაგვითმობენ.

970

ეპოქის სახის შექმნისას შეიძლება რომ შენი დაკარგო.

971

როცა სისხლს ცრემლი ეცემა, რა ვარდისფერი ხდება ყველაფერი!

972

ნერონის ქნარი კამერტონი იყო.

973

რესპუბლიკებსაც ზოგჯერ ტიტველი მეფეები მართავენ.

974

და როგორ არ ეშინიათ ლაჩრებს გმირთა სასაფლაოებზე წოლა?

(გაგრძელება იქნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147, 151, 153, 154

# სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო



(მეოთხე გვერდიდან)

„ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, მაგრამ ისეთი რა ავნეს ქვეყანას, რაც „ნაცებმა“ დამართეს და დღესაც აგრძელებენ ყოველივე ეროვნულის ამოძირკვას!

პარლამენტის შტურმით აღება, ვითომ იქ რუსები არიან მოკალათებულიო, ცუდი გეგმის ნაწილია. და საფრთხეს სწორედ მისი ავტორები წარმოადგენენ. 500000-მა კაცმა მოაწერა ხელი „ნაცების“ ძალადობრივი რეჟიმის გასამართლებას, ამ პარტიის გაუქმებას. მაგრამ ხელისუფლება ისევ სდუმს. არადა, ერთი თვეა, 500 კაცი არ ისვენებს გახარიას გადადგომის მოთხოვნით, ვინ არიან ესენი: გადატრიალების ორგანიზატორი „ნაცები“, სოროსელი ლგბტ, არასამთავრობოები, ხელმოცარული ვითომ პოლიტიკოსები — გიგა ბოკერია, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკანორ მელია, ძმები ბერძენიშვილები, დავით უსუფაშვილი, ადამიანები ვინც მიშასთან დადგებიან, ოღონდ პარლამენტში მოხვდნენ და პირადი საქმე აკეთონ.

გიორგი გახარიას გადაყენება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უარყოფას ნიშნავს. მშვიდობიან ადამიანებს ესროლეს? გაბედეთ, და თეთრი სახლი ან ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოს პარლამენტი აიღეთ შტურმით, სროლას მაშინ ნახავთ, ამ მიზეზე არ ლაპარაკობენ მამა აბრაამის ბატკნები.

სახელმწიფო გადატრიალება არ შედგა. გიორგი გახარიამ შეძლო აქამდე არნახული შტურმის შეჩერება, მაგრამ შეცდომებიც იქნა დაშვებული. დაასახიჩრეს ადამიანები, რაც ისევ ნაციონალების ხელწერაა, გაიხსენეთ 7 ნოემბერი და 26 მაისი, ნაციონალები კი ყველა უწყებაში არიან პორტირებული და ვინ იცის, კიდევ სად გაამჟღავნებენ სააკაშვილის ვნებებს.

ძალზედ მნიშვნელოვანია ბოლო მოვლენები ევროპასთან მიმართებაში.სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ დაადასტურა სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის რეკეტი ტელევიზიიის ქონებაზეც, რომლის გენ. დირექტორი გვარამიაც მათ უჭერდა მხარს. სამწუხაროდ, ვითომ ევროპელ პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს არც სტრასბურგის გადაწყვეტილების არ სჯერათ ან არ უნდათ დაიჯერონ. ამ არხის ჟურნალისტები ახალ გენდირექტორს და საერთოდ, მეპატრონეს თავიანთ პრეტენზიებს უყენებენ, რომ გააგრძელებენ სარედაქციო პოლიტიკას, მთავრობის გინებას, ტერორს, შანტაჟს, პროვოკაციებს, რევოლუციური გადატრიალებისათვის და ა.შ. როგორც „ნაცების“ პარტიული ტელევიზია, რომელიც 9 წელი ემსახურა ძალადობრივ რეჟიმს და ახლაც ემსახურება.

სიმართლის თქმა, მთავრობის კრიტიკა მედიის უმთავრესი ამოცანაა, მაგრამ იმასაც გააჩნია ვინ და რატომ გაკრიტიკებს, ხომ არ დგას ამის უკან დიდი ფინანსური დაინტერესება. მოკლედ, ყოველმხრივ უტევენ ამ მართლაც განათლებულ და გაწონასწორებულ პიროვნებას პაატა სალიას. პირობებს




კარნახობენ, ვერ გაიგებ მეპატრონე ხალვაშია თუ გვარამია? გაასაჯაროონ ამათი ხელფასები — არა მგონია, მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების ჟურნალისტებს ამათი ხელფასის ნახევარი ჰქონდეთ, ამბობენ გვარამიას წელიწადში მილიონობით შემოსავალი აქვსო, რომელი მესი ან რომელი რონალდო შენ ხარ? ნაღდ ჟურნალისტებს პურის ფული არა აქვთ! ვიდრე ასე იქნება, ვერც ეს ქვეყანა და ხალხიც ვერ გაიხარებს. იქნებ კიდევ არიან მაღალრეიტინგული და დიდი ჟურნალისტები, გამოდის, არჩევანი არ ყოფილა საქართველოში და მხოლოდ ამათ შეუძლიათ მთავრობის გინება, ავტორიტეტის მოპოვების მთავარ პოსტულატად რომ იქცა. ასე, რომ ხალხმა განსაჯოს, რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალია კრიმინალ სააკაშვილზე და „ნაცებზე“ დამოკიდებული ტელევიზია, რომლის დასაცავად წამოიშალნენ პარტიული ლიდერები და ცნობილი პიროვნებები, რათა არ დაკარგონ დეტონაციის მთავარი დეტონატორი!

ტელევიზია კრიტიკულია, მაგრამ ის ემსახურებოდა ძალადობრივ რეჟიმს, ამიტომ უკან უნდა დარჩეს პროვოკაციები, დესტაბილიზაცია, ფსიქოზი და ა. შ, თუმცა, უნდა შენარჩუნდეს აქაური ნიჭიერი და პროფესიონალი ადამიანები, რომელთაც ნამდვილად აღელვებთ ქვეყნის ბედი და არ აყვებიან პროვოკაციებს. ამის გათვალისწინებით „რუსთავი-2“ მართლაც იქნება რეიტინგული ტელევიზია, რომელიც ემსახურება ხალხს და არა კლანს, იქნება ობიექტური და სამართლიანი, როგორც მეოთხე ხელისუფლება, თავისუფალი სიტყვა, საქმიანი, კეთილმოსურნე და არა ცინიკური, ღვარძლიანი — რამეთუ ეს არის ბინძური თავისუფალი სიტყვა და ეს უნდა დამთავრდეს ტელევიზიაში მიშას ეპოქასთან ერთად.

სამწუხაროდ, ქვეყანა დაინგრა ვითომ დემოკრატიით, ვითომ მედიით და ამდენი ნიღაბაფარებულებით ყველგან და ყველა სფეროში. მთელ ამ კონტექსტში ასევე კარგად ჯდება ირაკლი ოქრუაშვილი, ერთ დროს მიშას პატიმარი, 7 მილიონ დოლარად რომ უყიდია „რუსთავი-2“ მინისტრობის დროს, რასაც ვერ გამოაჩენდა და თურმე ქიბარ ხალვაშის სახელზე გადაუფორმებია. წესით, ამისთვის პროკურატურაში უნდა იყოს დაბარებული, ისე, რა გულკეთილია, სხვის ქონებას ჟურნალისტებს ჩუქნის, თუმცა, ამ ჟურნალისტებისავე შეკითხვაზე, საიდან მოიტანე ამდენი ფულიო, ბებიათქვენმა გამომიგზავნაო! აი, სწორედ, ასეთი პიროვნებების და ასეთი ტელევიზიის ირგვლივ იკრიბებიან ცნობილი სახეები, პოლიტიკური მოღვაწეები, ექსპერტები, არც ერთი სიტყვა სახელმწიფო გადატრიალებებზე, ახალგაზრდობის მასობრივ ჩახოცვაზე. ტელეიმედიდან ცემით გამოყრილ ჟურნალისტებზე. ნუთუ, მართლა ასე ბნელა? ჩემო გუბაზ, შალვა, ირაკლი, დავით, ნიკანორ? წინ არჩევნებია და კარგად გრძნობთ დასასრულის მოახლოებას და ამიტომ ყველაფერზე ხართ წამსვლელები. არადა, ერთხელ ხომ უნდა დაწყნარდეს ქვეყანა? ამათ ქიშპობას შეეწირა ათასობით ადამიანის ცხოვრება კორუფციის, უმუშევრობის და სახელისუფლებო რეკეტის გამო. ეს უბედურება თითოეულ ოჯახს შეეხო, ბევრი დაინგრა, ბევრმა დატოვა ქვეყანა.

ძალადობრივი რეჟიმი, რადგან სხვა გზა არ დარჩა, ისევ ძალადობით მოიწევს ხელისუფლებისაკენ, თუნდაც არეულობის, ახალი ომის ფასად — იქნებ რამეს გამორჩნენ? აქედანაც ნათელია, ვინ აკეთებს მიშას საქმეს. ამიტომაც ითხოვენ გახარიას გადადგომას, რომ არ მოუშვა ესენი ხელისუფლებაში და ქვეყანა გადაარჩინა სამოქალაქო ომს, სააკაშვილის დაბრუნებას და ისევ მოსალოდნელ გართულებებს რუსეთთან. ქვეყანას ბანქოს მოთამაშეებივით უსხედან, იბრძვიან კარგი ულუფის ჩამოსაჭრელად. საკითხავია, რატომ არ არის აღქმული კანონდარღვევად და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად 20 ივლისის ღამე, მართლა ჩალითაა დახურული ეს ქვეყანა?

ერს თავისი სიცოცხლის გზა აქვს, მას სათანადო სულიერი და მატერიალური პირობები სჭირდება, რათა გააგრძელოს განვითარება, ისედაც პატარა ერს ქვეყნიდან ვერეკებით და მომავალს ვუსპობთ, რატომ, რისთვის საკითხავი, აი, ეს არის!

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით სიმართლის აღდგენის ახალი ეპოქა დაიწყო., იქნებ ნაცებიც მან გაასამართლოს. ამ მოთხოვნას ასიათასობით ადამიანი აწერს ხელს, ისიც საყურადღებოა, რომ „ნაცების“ ბელადმა სააკაშვილმა საბოლაო კრახი განიცადა უკრაინის არჩევნებში.

როგორც ჩანს „რუსთავი-2“-ის ფინანსური მდგომარეობაც უკიდურესობამდე მიუყვანია მის ხელმძღვანელობას, და ისედაც დიდი საშიშროების წინაშე იდგა, მოკლედ ბევრი რამ გაირკვევა. ერთი კია ნაციონალები თავიანთი ულირსი საქციელით და სტრასბურგელთა დაუმსახურებელი გინებით თავიანთ თავს თვითონვე ასამართლებენ.

ახლა დადგა დრო გაიწმინდოს პოლიტიკური ველი, ხელისუფლებაში მოვიდნენ პატრიოტები. ევროპულად განათლებულები, ვინც არ გასვრილა ამ პოლიტიკურ მაქინაციებში. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ბევრი პარტია იქცა ვიგინდარების თავშესაფრად.

დღეს დიდი სიფრთხილეა საჭირო, როცა ქვეყნის შიგნით ამდენი მტერი და აგენტურა გვყავს. საქართველოს წიაღში უფრო რთული პროცესები მიდის. ორადაა ქვეყანა გაყოფილი ყველა პარამეტრით და ძნელი გამოსაცნობია, რითია ფეხმძიმე მრავალტანჯული საქართველო.

**ზურაბ აბრალავა,**
„სრ“ საკ. კორ.
(+995) 568 41 71 58

## იენს სტოლტენბერგი ტერორისტების წინააღმდეგ



ერებმა ერთად უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ აღვკვეთოთ დამოუკიდებლად მოქმედი ტერორისტების თავდასხმები, რომლებიც ერთმანეთს შთააგონებენ, — ეს განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ახალ ზელანდიაში ვიზიტის დროს გააკეთა. ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.

სტოლტენბერგმა ვიზიტის დროს ის მეჩეთი მოინახულა, სადაც რამდენიმე თვის წინათ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის დროს 51 ადამიანი დაიღუპა.

„ისინი მარტო მოქმედებენ, თუმცა შთააგონებენ ერთმანეთს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტერორიზმს სხვადასხვა ხერხით უნდა ვებრძოლოთ“, — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 24 საათის განმავლობაში ორი შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. პირველი თავდასხმა იყო ტეხასში. შეიარაღებულმა თავდამსხმელმა 20 ადამიანი მოკლა, ათობით ადამიანი კი დაიჭრა. თავდასხმის შემდეგ სოციალურ ქსელებში მისი მანიფესტი გავრცელდა, სადაც ის მხარს უჭერდა ახალ ზელანდიელ თავდამსხმელს.

## ქაშმირს სპეცსტატუსს უუქმებენ

ინდოეთის მთავრობა ქაშმირისთვის სპეციალური სტატუსის გაუქმებას გეგმავს, რაც რეგიონს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს.

კონსტიტუციის 370-ე მუხლი ჯამუს და ქაშმირის რეგიონებს ინდოეთის სხვა შტატებზე მეტ ავტონომიას ანიჭებს. აღნიშნული მუხლი ქაშმირს ნებას რთავს, ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია, თავისი დროშა და ავტონომია ყველა საკითხში, გარდა თავდაცვის და საგარეო საქმეების მიმართულებისა.

ქაშმირის რეგიონზე პრეტენზიას ინდოეთთან ერთად პაკისტანიც აცხადებს და ორივე ქვეყანა რეგიონის ორ ნაწილს აკონტროლებს. პარალელურად ცნობილი ხდება, რომ ინდოეთმა მის მიერ ადმინისტრირებული ქაშმირის რეგიონი დახურა და ადგილობრივი ლიდერები შინა პატიმრობაში მოაქცია. დაწესებულია შეზღუდვები გადაადგილებაზე და შეკრებებზე, მობილური ინტერნეტი კი გათიშულია.

გასულ კვირას ინდოეთმა რეგიონში 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე შეიყვანა.



# ნასა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ცხარე წიწაკას გაზრდის





**თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, 2019 წლის ნოემბერში საერთაშორისო კოსმოსური სადგური (ISS) ოდნავ უფრო ცხარე გახდება.**

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ესპანიოლას სახეობის ცხარე წიწაკა (Capsicum annuum) პირველი მცენარე გახდება, რომელიც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ნაყოფს მოისხამს. ნასას განცხადებით, მათ შეარჩიეს წიწაკის ისეთი სახეობა, რომელიც ძალიან მაღალი არ იზრდება და კარგად ეგუება კონტროლირებად გარემოს.

**„ასტრონავტები ხშირად მოითხოვდნენ უფრო ცხარე და გემრიელ საკვებს. ცხარე წიწაკა ამ მხრივ ნამდვილად კარგი გამოსავალია. გარდა ამისა, შეიცავს დიდი ოდენობით C ვიტამინს, რომელიც მნიშვნელოვანია კოსმოსში კვების რაციონისთვის“, —** ამბობს ნასას მცენარეთა ფიზიოლოგი **რეი ვილერი.**

ცხარე წიწაკის ათასობით ტიპს შორის „ესპანიოლა“ შეარჩიეს იმიტომ, რომ ის კარგად ხარობს ზღვის დონიდან მაღლა მდებარე რეგიონებში, აქვს ზრდის მოკლე პერიოდი და ადვილად იმტვერება.

კოსმოსურ სადგურებზე ასტრონავტები და კოსმონავტები მცენარეებს წარმატებით ზრდიან 1982 წლიდან, როცა საბჭოთა „სალიუტ 7“-ის ეკიპაჟმა პირველად გაზარდა მცენარე Arabidopsis-ი. რუსი კოსმონავტები კოსმოსში თავიანთ მოყვანილ საკვებს 2003 წლიდან ჭამენ, ამერიკელმა ასტრონავტებმა კი სალათის ფოთლები პირველად 2015 წელს გაზარდეს.

ამჟამად, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე რამდენიმე სახეობის ბოსტნეული მოჰყავთ, მათ შორის სალათის ფოთოლი, ჭარხალი, ბოლოკი, ჩინური კომბოსტო და ბარდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბარდა ბოტანიკურად ხილს მიეკუთვნება და რუსები მას უკვე წლებია ზრდიან საერთაშორისო კოსმოსური სადგურის რუსულ სეგმენტში. ხილი ჯერ არ გაუზრდიათ ამერიკელ ასტრონავტებს, შესაბამისად, ცხარე წიწაკა მათთვის პირველი იქნება. მიკროგრავიტაციის ქვეშ მცენარეები საკმაოდ რთულად იზრდებიან, რადგან მათი ფესვთა სისტემა კომპლექსურია და ორიენტაციისთვის დედამიწის გრავიტაციას იყენებენ.

თუმცა, ასტრონავტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მცენარეებს წარმატებით ზრდიან სპეციალური ტიპის სინათლის, საკვები ნივთიერებებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით. 2018 წელს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე დამონტაჟდა მცენარეების ზრდის სპეციალური სისტემა, რომლის მიზანიც ასტრონავტების ჯანსაღი საკვებით მომარაგებაა.

ნასასთვის ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია მარსზე ადამიანთა გაგზავნის ამბიციური გეგმისათვის. წითელ პლანეტამდე ჩაღწევას ექვსი თვიდან წლამდე დასჭირდება და შესაბამისად, გზაში შესაძლებელი იქნება მცენარეების გაზრდა და მგზავრების ჯანსაღი საკვებით მომარაგება.



# პლანეტა, რომლის ცაშიც სამი მზე ანათებს

**ჩვენი მზე ეული ვარსკვლავია, მაგრამ სამყაროში ძალიან ბევრია შეწყვილებული ვარსკვლავები, რომლებიც გრავიტაციის საერთო ცენტრის გარშემო მოძრაობენ. ერთ-ერთ ასეთ სამმაგ ვარსკვლავურ სისტემაში ასტრონომებმა ეგზოპლანეტა იპოვეს.**

მას სახელად LTT 1445Ab უწოდეს და გარს უვლის სამი წითელი ჯუჯა ვარსკვლავებისგან შემდგარი სისტემის ძირითად ვარსკვლავს. ამ სისტემას LTT 1445-ს უწოდებენ და მდებარეობს ჩვენგან 22,5 სინათლის წლის მანძილზე.

ჰარვარდ-სმიტსონის ასტროფიზიკური ცენტრის ასტრონომის ჯენიფერ უინტერსის განცხადებით, თუკი ამ პლანეტის ზედაპირზე დადგებით, ცაში სამ მზეს დაინახავთ, მაგრამ ორი მათგანი საკმაოდ შორს არის და პატარა მოჩანს. ისინი ციდან მომზირალი ორი თვალივით ჩანს. ეგზოპლანეტა აღმოაჩინა ნასას ახალმა, პლანეტებზე მონადირე კოსმოსურმა ტელესკოპმა TESS-მა. მისი მთავარი მიზანია, იპოვოს ეგზოპლანეტები, რომლებიც ჩვენსა და თავიანთ დედავარსკვლავს შორის ჩაივლიან. ამ დროს ტელესკოპი ვარსკვლავის სინათლეში მცირე ჩაბნელებას ხედავს, რადგან შუქს პლანეტა ბლოკავს. ამ ტექნიკას ტრანზიტის მეთოდს უწოდებენ.

ჩაბნელების სიღრმითა და პლანეტის გრავიტაციის მიერ ვარსკვლავის ოდნავი მოძრაობების საფუძველზე, ასტრონომებს შეუძლიათ გამოიანგარიშონ პლანეტის ზომა და მასა.

LTT 1445Ab ძალიან განსხვავდება სამი მზის სისტემაში 2016 წელს აღმოჩენილი კიდევ ერთი პლანეტის, HD 131399Ab-ისგან. ეს უკანასკნელი სისტემის ერთ-ერთი ვარსკვლავის გარშემო 550-წლიანი ორბიტის გარშემო მოძრაობს და მდებარეობს ჩვენგან 340 სინათლის წლის მანძილზე.

ახლად აღმოჩენილი პლანეტა დედამიწაზე ფიზიკურად 1,35-ჯერ დიდია, მასით კი 8,4-ჯერ აღემატება; შესაბამისად, ის გაცილებით მკვრივია, ვიდრე ჩვენი მშობლიური პლანეტა.

გამომდინარე ასეთი ზომისა და მასიდან, ის კლდოვანი პლანეტა უნდა იყოს, ისეთი, როგორებიც არის დედამიწა, ვენერა და მარსი. თუმცა, იქ სიცოცხლის არსებობის შანსი საკმაოდ მცირეა. ეგზოპლანეტა თავის დედავარსკვლავს გარს უვლის ყოველ 5,36 დღეში ერთხელ, ანუ ძალიან ახლოდან; შესაბამისად, მის ზედაპირზე ტემპერატურა დაახლოებით $155^0C$ უნდა იყოს.

მიუხედავად ამისა, აღმოჩენით ასტრონომები მაინც აღფრთოვანებული არიან. LTT 1445Ab-ს შესაძლოა, ჰქონდეს ატმოსფერო. კლდოვანი პლანეტა, რომელსაც ატმოსფერო აქვს და დედავარსკვლავთან ასე ახლოს მდებარეობს, ძალიან კარგი ადგილია იმ ხელსაწყოთა გასატესტად, რომლებსაც მეთანისა და ნახშირორჟანგის დასაფიქსირებლად ვიყენებთ.

ეგზოპლანეტა, რომელსაც ატმოსფერო აქვს, არა მხოლოდ უნდა აბნელებდეს ვარსკვლავის სინათლეს, არამედ ცვლიდეს კიდეც ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობაზე დაყრდნობით, ანუ ვარსკვლავის სინათლის სპექტრის ცვლილების საფუძველზე ასტრონომებს შეუძლიათ ქიმიური შემადგენლობის გარკვევა.

ჩვენი თანამედროვე ტექნოლოგიები ამას არც თუ ისე კარგად ახერხებს. თუმცა, მეცნიერები დიდ იმედს ამყარებენ ჰაბლის მემკვიდრეზე, ჯეიმს ვების კოსმოსურ ტელესკოპზე. მისი გაშვება 2021 წელს იგეგმება, მანამდე კი ასტრონომები გამალებით ეძებენ კვლევების სამიზნეებს.

LTT 1445Ab შესაძლოა ბრწყინვალე კანდიდატი იყოს. იგი დედავარსკვლავს გარს უვლის მალ-მალე და, შესაბამისად, იქნება დაკვირვების არაერთი შანსი. ის ჩვენგან მხოლოდ 22,5 სინათლის წლით არის დაშორებული, რაც კოსმოსური მასშტაბით საკმაოდ ახლო მანძილია.

***მომზადებულია New Scientist-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.***

# 9 სექტემბერს დედამიწას ასტეროიდი არ შეეჯახება

**ივნისის დასაწყისში მსოფლიო მედია მოიცვა ამბავმა დედამიწისთვის საშიში ასტეროიდის შესახებ. თუმცა, ევროპის კოსმოსური სააგენტოსა და ევროპის სამხრეთული ობსერვატორიის (ESO) მიერ ჩატარებული ახალი დაკვირვებების თანახმად, ეს ასტეროიდი ჩვენი პლანეტისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.**

კოსმოსური ნამტვრევის სახელია 2006 QV89. სიგრძეში 20-50 მეტრია და მზის გარშემო ისე ბრუნავს, რომ არსებობდა 7000-ში ერთი შანსი, რათა 2019 წლის 9 სექტემბერს ის დედამიწას შეეჯახოს. ეს გახლავთ 0,00014-პროცენტიანი ალბათობა, რაც ევროპის კოსმოსური სააგენტოს რისკების სიის მიხედვით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამ კატალოგში შესულია ის არამიწიერი ობიექტები, რომელთა დედამიწასთან შეჯახების შანსიც ნულზე მეტია.

**„ევროპის სამხრეთულმა ობსერვატორიამ დაასკვნა, რომ 2006 QV89 დედამიწასთან შეჯახების კურსზე არ დგას; გარდა ამისა, უკიდურესად დაბალია მომავალში შეჯახების შანსიც“, —** წერია ევროპის კოსმოსური სააგენტოს (ESA) განცხადებაში.

ასტეროიდთა დანახვა უკიდურესად რთულია. ისინი ძალიან პატარებია და მოძრაობენ ჩვენგან შორს; ხშირ შემთხვევაში არიან სინათლის ცუდად ამრეკლავები. როცა ისინი ჩვენი თვალთახედვის არეალში გამოჩნდებიან, ასტრონომები სასწრაფოდ ახდენენ მის კვლევას, შემდეგ კი, მოძრაობასთან ერთად, ასტეროიდები კვლავ უხილავი ხდებიან.

სწორედ ამ სახის არის ასტეროიდი 2006 QV89-ც. აღმოაჩინეს 2006 წელს და მომდევნო 10 დღის განმავლობაში, ასტრონომები მასზე დაკვირვებას აწარმოებდნენ. ამის შემდეგ ის გაუჩინარდა და მის შესახებ არც აღარაფერი გაგვიგია.

თუმცა, ეს ათი დღე საკმარისი აღმოჩნდა, რათა მეცნიერებს დაედგინათ, რომ ის ელიფსურ ორბიტაზე მოძრაობს და 2019 წლის 9 სექტემბერს დედამიწის ორბიტას იმდენად ახლო წერტილში გადაკვეთს, რომ არსებობს შეჯახების გარკვეული რისკიც. მონაცემები იმდენად მწირი იყო, რომ უცნობია, სად იმყოფება ასტეროიდი დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

**„მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით 2006 QV89-ის ზუსტი ტრაექტორია, ცნობილია, სად უნდა გამოჩნდეს ის ცაში იმ შემთხვევაში, თუ ის ჩვენს პლანეტასთან შეჯახების კურსზე დგას. შესაბამისად, შეგვიძლია ცის ამ მონაკვეთს დავაკვირდეთ, რათა გავიგოთ, იმყოფება თუ არა იქ ასტეროიდი“, —** წერს ESA.

ასტრონომები სწორედ ასე მოიქცნენ. 4-5 ივლისს, ცის ამ მონაკვეთისკენ მათ მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი ტელესკოპი, ჩილეში განთავსებული VLT მიმართეს. ეს ტელესკოპი ცის ამ მონაკვეთში არსებობის შემთხვევაში საკმაოდ მცირე ასტეროიდსაც კი აუცილებლად შეამჩნევდა.

როგორც ჩანს, იქ მართლაც არაფერია, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს უმძლავრესი ტელესკოპის დასკვნით. აღსანიშნავია, რომ იმ ზომის კოსმოსური ნამსხვრევი, რომელსაც ტელესკოპი VLT ვერ დააფიქსირებს, შემოჭრისას უბრალოდ დედამიწის ატმოსფეროში დაიწვება.

დაბოლოს, 2022 წელს დედამიწას ჩაუვლის 13-მეტრიანი ასტეროიდი სახელად 2009JF1, რომლის შეჯახების შანსიც 4 464-ში ერთია.

**გვერდი მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილის მასალების მიხედვით**

სტუმარი

# ბავარიელი ამერიკაში

**საქართველოს არაერთი კაშკაშა ვარსკვლავი ჰყოლია სტუმრად, მაგრამ კალათბურთის ცოცხალი გერმანელი ლეგენდა დირკ ნოვიცკი მათ შორისაც კი გამორჩეულია.**

მან შთამბეჭდავი პროფესიული კარიერა წლეულს აპრილში დაასრულა და ჩვენს ქვეყანაში ოჯახთან ერთად დასასვენებლად პირადი მეგობრის — ზაზა ფაჩულიას მოწვევით იმყოფება.

ნბა-ს ორგზის ქართველი ჩემპიონის სახელობის აკადემიის აღსაზრდელებს მთელი ცხოვრების განმავლობაში ემახსოვრებათ სახელოვანი სტუმარ-მასპინძლის ვიზიტი, რომელიც საინტერესო დიალოგში გადაზრდილი მონოლოგით დაიწყო, ავტოგრაფების დარიგებით გაგრძელდა და სამახსოვრო ტორტის გაჭრით დაგვირგვინდა, რომელსაც ელიტური წყვილის პორტრეტები ამშვენებდა.

**„ამერიკაში ზაზა ფაჩულია ბევრს მიამბობდა თავის სამშობლოზე. ჩემთვის კიდევ უფრო მრავლისმთქმელია ქართულ კულტურასთან უშუალო შეხება და მისი გაცნობა. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ რამდენიმე დღე დამრჩა, რათა უფრო მეტი გავიგო საქართველოზე.**

**ზაზა ძალიან ბევრს აკეთებს თავისი ქვეყნისთვის და ხშირად მიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს უმნიშვნელოვანესი პროექტების შესახებ. იგი სამაგალითოდ ეხმარება ბავშვებს.**

**მოკლედ, ზაზას, მთელი ქართველი ხალხის მსგავსად, დიდი გული აქვს. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს თბილი მიღებისა და დაუვიწყარი დღეებისათვის“,** — განაცხადა დირკ ნოვიცკიმ, რომელიც ზაზა ფაჩულიასთან ერთად „დალას მავერიქსში“ 2015-2016 წლების სეზონში თამაშობდა.

მან ბავშვებს აუხსნა, რომ ვარჯიშთან ერთად სწავლა-განათლებასაც არანაკლები ყურადღება უნდა დაუთმონ, რადგან ერთ პატარა ტრავმასაც კი შეუძლია რადიკალურად შეცვალოს მათი ცხოვრება.

საპატიო სტუმარმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჯარში ყოფნის პერიოდს, რომელმაც, მისივე სიტყვებით, ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოაყალიბა.

**საღარბაზო ბარათი**

*დირკ ვერნერ ნოვიცკი 1978 წლის 19 ივნისს ბავარიის ქალაქ ვიურცბურგში დაიბადა. იგი საკალათბურთო დინასტიის წარმომადგენელია. ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდნენ მისი დედა და და, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ ნბა-ს სტრუქტურებში სპორტულ ფუნქციონერად მუშაობდა და ძმის მენეჯერი გახდა.*

*დირკ ნოვიცკი თავიდან ხელბურთსა და ჩოგბურთში ვარჯიშობდა, კალათბურთში გადაბარგების შემდეგ კი მის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მწვრთნელ ჰოლგერ გეშვინდერთან შეხვედრამ.*

*16 წლის ჭაბუკი სადებიუტო სეზონში მატჩების უმეტეს დროს მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე მშობლიურ „ვიურცბურგში“ სათადარიგოთა სკამზე ატარებდა, მაგრამ მალევე ჯერ სასტარტო ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი, ხოლო1996-1997. წლებში გუნდის საუკეთესო სნაიპერი გახდა. გერმანული საბრძოლო ნათლობა ბავარიული კლუბის მთავარ საკალათბურთო ლიგაში აღზევებით დაამთავრა, თანაც, სწორედ მაშინ, პარალელურად, არმიაში მსახურობდა.*

*ამპლუა — უნივერსალი: მსუბუქი ფორვარდი, მძიმე ფორვარდი, ცენტრალური თავდამსხმელი. ნებისმიერი დისტანციიდან დაყენებული ტყორცნის მფლობელს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირობა არაერთხელ აქვს მოპოვებული.*

*და აი, მივადექით ღირსეული წინამორბედის — ნბა-ში პირველ გერმანელ დეტლეფ შრემპფის კიდევ უფრო ღირსეული მემკვიდრის კარიერულ მწვერვალს: 1998 წლის 24 ივნისს 20 წლის დირკ ნოვიცკი ნბა-ს დრაფტზე მე-9 ნომრად „მილუოკი ბაქსმა“ აირჩია და მაშინვე გაუცვალა რობერტ ტრეილორსში „დალას მავერიქსს“.*




*სწორედ ტეხასურ კლუბს უკავშირდება ნბა-ს 2011 წლის ჩემპიონის ოქროს ბეჭდის მფლობელის უნიკალური რეკორდები: მხოლოდ და მხოლოდ ერთ გუნდში გატარებული 21(!) სეზონი. არის საუკეთესო ევროპელი და თეთრკანიანი სნაიპერი. 2007 წელს გახდა პირველი კალათბურთელი ძველი სამყაროდან, ვინც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP) დაასახელეს.*




*შარშან 27 დეკემბერს მან 1477-ე მატჩი ჩაატარა დალასელთა მაისურით, რაც მეოთხე შედეგია ნბა-ში, ხოლო წლეულს მარტში შედეგიანობით მეექვსე პოზიციამდე აღზევდა. სამაგიეროდ, პირველია შემდეგი ინდივიდუალური მაჩვენებლების ერთობლიობით: 25 ათასზე მეტი ქულა, 10 ათასზე მეტი მოხსნა, ათასზე მეტი დაფარება და ათასზე მეტი ჩაგდებული სამქულიანი.*

*ნოვიცკის პირადი მიღწევა ერთ შეხვედრაში — 53 ქულა „ჰიუსტონთან“ — 2004 წლის 2 დეკემბრით თარიღდება, შთამბეჭდავი საშუალო პირადი მონაგარი რეალიზაციის მხრივ კი ასე გამოიყურება: საჯარიმოები — 87,5 პროცენტი, ორქულიანები — 47,5 პროცენტი, სამქულიანები — 38 პროცენტი, აგრეთვე, 25,6 ქულა და 10,9 მოხსნა, თანაც, პრაქტიკულად ყველა შეხვედრაში ასრულებდა ორმაგ დუბლს.*

*ბავარიელი გენიოსის დიდოსტატობაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, დღევანდელ სტატიას კი ასეთი ფენომენური ციფრებით დავასრულებთ: 213 სმ სიმაღლის 41 წლის ნოვიცკიმ 14-ჯერ ითამაშა ყველა ვარსკვლავის მატჩში და 12-ჯერ შეიყვანეს სეზონის სიმბოლურ ნაკრებში.*

**ვიტალი ჯაფარიძე**

თაოგა



# გოქაძის „ბრინჯაო“

**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრების წევრმა მათე გოქაძემ (110 კგ.) პოლონელი ტომაშ კრავჩიკი აშკარა უპირატესობით — 8:0 დაამარცხა და მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ იგი მიმდინარე წლის ევროპის ჩემპიონია თანატოლთა შორის.**

ფორუმი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დღეს დასრულდება. თამაზ ღლონტი (45 კგ.) ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავებს. ასევე „ბრინჯაოსთვის“ დამამშვიდებელი წრიდან გააგრძელებენ ბრძოლას ნიკა ბროლაძე (60 კგ.) და დათა ჩხაიძე (71 კგ.).

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# ცხენი ჩვენი არსობისა

**კარგა ხანია მივეჩვიეთ, რომ ცნობილი მოდელები ძირითადად სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობებს ქომაგობენ, როგორც წესი, ფეხბურთის, კალათბურთისა თუ გოლფის კლუბებს გულშემატკივრობენ და მათ ერთგვარ თილისმებადაც გვევლინებიან. კოლეგათაგან გვარიანად განსხვავებული ადამიანია არაბი ლამაზმანი თალიდა ტამერი.**

საუდის არაბეთში გაზრდილ და ახლა უკვე ევროპაში მოღვაწე მოდელს სპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტად ცხენოსნობა იზიდავს და, როგორც ჭეშმარიტ არაბს შეჰფერის, ბედაურში კარგად ერკვევა. რა უნდა მოხდეს, თალიდა ტამერი სპორტის საცხენოსნო სახეობებში გამართულ დიდ შეჯიბრებებს რომ დააკლდეს...

პარიზში მცხოვრები საუდელი ასული ხშირად ამბობს, რომ დოღებისადმი დიდი სიყვარული ბავშვობიდან მოსდგამს, რამეთუ იგი არაბეთის ერთ ლამაზ სოფელშია გაზრდილი, სადაც ცხენი ყველა ოჯახს ჰყავს და კარგი ცხენის ყოლა არაბებისთვის, ქონების გარდა, ღირსების საკითხიცაა.



არაბული ტაიჭი ხომ მთელს მსოფლიოში დოღის მოყვარულთათვის დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

**ბეჟან დოლიძე**

ფეხბურთი

# სავარაუდო მეტოქეები ცნობილია

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროპა ლიგის პლეი-ოფის წილისყრა გაიმართა. შესაბამისად, „დინამო თბილისისა“ და „საბურთალოს“ სავარაუდო მეტოქეთა ვინაობაც გაირკვა, ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ ქართული გუნდები მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერს გადალახავენ.**

„საბურთალოს“ საკმაოდ გაუმართლა და მეტოქედ განუთესავი წყვილი ერგო. არადა, ოთხიდან სამი სავარაუდო წყვილი განთესილი იყო. ასე რომ, საქართველოს ჩემპიონს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს:

**„არარატ-არმენია“ (სომხეთი) — „საბურთალო“ (საქართველო) — „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი) — „კალიუ“ (ესტონეთი).**

წილისყრის შედეგებით ცუდ ხასიათზე არც „დინამოს“ შემთხვევაში უნდა ვიყოთ, რადგან თუ „ფეიენოორდის“ ბარიერს დაძლევს, პლეი-ოფში არცთუ ძლიერ მეტოქეს შეხვდება.

**„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „დინამო“ (საქართველო) — „ნორჩეპინგი“ (შვედეთი) — „ჰაპოელ ბეერ-შევა“ (ისრაელი).**

მოგეხსენებათ, „საბურათალოს“ ევროპა ლიგის პლეი-ოფში მოსახვედრად „არარატ-არმენიას“ დამარცხება სჭირდება და პირველი მატჩი დღეს




ერევანში გაიმართება, „დინამო თბილისის“ მეტოქე კი როტერდამის „ფეიენოორდია“ და ამ გუნდთან პირველი შეხვედრა 8 აგვისტოს ჰოლანდიაში შედგება.

ევროპა ლიგის პლეი-ოფის მატჩები 22 და 29 აგვისტოს მოეწყობა, ხოლო მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 8-15 აგვისტოსაა ჩანიშნული. რაც შეეხება ჯგუფური ეტაპის წილისყრას, 30 აგვისტოს მონაკოში ჩატარდება.

**გიორგი შოთაძე**

◉ ელამი კალმით




# ქართველებიც ოკუპანტები ვართ?!

**უამური ამბების მოსმენით გაბეზრებულმა ბესო პაპამ ტელევიზორი გამორთო, პირჯვარი გადაიწერა და ბოლმის გასაქარვებლად მეზობელს მიუკაკუნა:**

— შემოდი, ბესო, შემოდი, — შეიპატიჟა თავისკბილა მეზობელი გიგუშამ, — კაცო, სად იყავი დაკარგული, რომ არსადა ჩანდი?

— სოფელში ვიყავი, ძმაო, ჩემ მშობლიურ სოფელში. ვიფიქრე, ცოტას ამოვისუნთქავ-მეთქი, მაგრამ ამ წყეულმა „რუსთავი-2“-მა იქაც არ მომასვენა. წაიღო ყურები ამ ნაცქოცების გაუთავებელმა სადღეღამისო ქოთქოთმა — არა, მე ავაშენე ქვეყანა, არა — მეო. არადა, ორივემ ერთად გაგვიბითურეს ქვეყანა და გაგვინიორწყლეს ცხოვრება.

— აშენებას ვინ ჩივის, ჩემო კარგო, მაგ ძაღლთაპირმა ნაცებმა ტერიტორიებიც რომ დაგვაკარგვინეს? — დაამატა გიგუშამ.

— აბა, კაცო, მაგას არ ვჩივი? — საზღვრები მაინც გვქონდეს გამაგრებული, იქიდან რუსეთი მოცოცავს, აქეთ კიდევ აზერბაიჯანი იჩემებს დავითგარეჯას.

— ამას რაღა უნდა, ვერ გავიგე, ვითომ მეგობარი სახელმწიფოები ვართო და მეგობრულად გვიპირებს ჩვენი სულ-ხორცით ნაგები სამონასტრო კომპლექსის წართმევას?

— ჰო, ისტორიას იშველიებს, ჩვენ ალბანელების მოდგმისა ვართ და ისტორიულად ეს მიწა ძველი ალბანეთისა იყოო.

— მასე, კაცო, ჩვენც გვეუბნებიან, ძველი ქალდეველებისა და შუმერების ნაშიერები ხართო, მაგრამ მეზობელ ქვეყნებს ტერიტორიების წართმევით კი არ ვემუქრებით.

— მარტო დავითგარეჯას რომ გვედავებოდნენ, კიდევ რა უჭირდა. ამას წინათ აზერბაიჯანელმა აკადემიკოსმა იაგობ მაჰმუდოვმა ბეჭედდასმულად განაცხადა: აღმოსავლეთ საქართველო ტრადიციული აზერბაიჯანული მიწებია, ტიფლისი კი ძველი აზერბაიჯანული ქალაქიო.

— აგაშენა ღმერთმა, ეგ ურჯულო მართლა აკადემიკოსი არ ყოფილა?

— მართლა რატომ?

— იმიტომ, რომ აკადემიკოსის გარდა ასეთ სისულელეს რომელი ჭკუათამყოფელი დააბრეხვებდა? მაგას თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში თბილისის აშენება საქართველოში კი არა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიწყო, ხოლო „ოკუპანტმა“ დავით აღმაშენებელმა აზერბაიჯანის დიდი ნაწილი იმისთვის დაიპყრო, რომ დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოეტანა.

— რადგან ყველაფერი თავდაყირა დადგა, ალბათ ისტორიკოსებს ზოგი რამის თავიდან გამოკვლევა მოუწევს.

— რას გულისხმობ?

— აი, თუნდაც შაჰ-აბასის მიერ თავის დროზე კახელების ფერეიდანში გასახლებას. უნდა გაირკვეს, ირანის ლომს ხომ არ შეეშალა და ქართველების ნაცვლად აზერბაიჯანელები გაასახლა?

— მართალი ხარ, ჩემო ბესო, მართალი, — თავი დაუკანტურა გიგუშამ, — მე თუ მკითხავ, მასეთ აკადემიკოსს ისტორია კი არ უნდა აწერინო, ხელში სახრე უნდა მისცე და ვირები ამწყემსინო.

— მასეც უნდა იყოს, მაგრამ ვინ არის პატრონი ქვეყნისა, რომ საქართველოს მტერ-მოყვარეს საკადრისი პასუხი გასცეს?

— ღირსეული მთავრობა ასეც მოიქცეოდა, მაგრამ, ხომ ხედავ, ის ნაცბანდასთან კოჰაბიტაციურ ომშია ჩართული და ქვეყნისთვის არა სცალია.

— მაგრამ, ხალხი, ხალხი რაღას აკეთებს?

— ხომ ხედავ, ხალხი აქტიურობს, ყოველ საღამოს პარლამენტის წინ იკრიბება და პუტინის საოკუპაციო პოლიტიკას აპროტესტებს.

— ეგ პუტინიც მაგარი მეისტორიე გამოდგა, ისტორიის ხელმეორედ გადაწერა ითავა და ქართველების მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია არც თუ შემთხვევით „აღმოაჩინა“.

— ჰოდა, მაგიტომაც ღელავს და შფოთავს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი „ოკუპანტი“ ქართველი ხალხი, რომელიც 40 დღეზე მეტია, გახარიას გადადგომას მოითხოვს.

— მაგრამ ვინ აპროტესტებს ოკუპაციას, არ იკითხავ? პირველ დღეებში კი აქტიურობდა ახალგაზრდობა, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა, მაგ აქციებს ნაცბელადები თავკაცობენ, ხოლო მათ დაკრულზე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პედერასტ-ნარკომანები მღერიან და ცეკვავენ.

— აბა, ეგ მიშა მშვილდაძე, აქციების ორგანიზატორობას რომ იჩემებს, ვიღას ტიკიტომარაა?

— არ გახსოვს? ადრე იუმორისტობდა, ეტყობა, ახლა უსაქმოდ დარჩა და ქუჩაში ჯამბაზობით ერთობა.

— კაცოო, ყველა ყველა, მაგრამ ერთი ვერ გავიგე, — შუბლი მოისრისა გიგუშამ, — ეს აქციები თუ ანტისაოკუპაციოა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ არის მიმართული, მაშინ გახარიას გადადგომას რატომღა მოითხოვენ, ვითომ ეს ჩვენი გადატრიალების გადამრჩენი მინისტრი ოკუპანტია?

— ალბათ, მაგიტომაც არის უარზე, რომ გადადგეს. ნაცლგბტ-ელები გახარიას ოკუპანტობას ვერ უმტკიცებენ და ისიც მშვიდად აგრძელებს გადატრიალების მოთავეთა ვირის აბანოში გამწესებას.

**ოტია ჩართოლანი**

---




გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 1, 2, 7, 10-17, 21-23, 30 და 31 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის საფრთხის ზრდა, სეისმოაქტივობის გაძლიერება, ასევე სოციუმში დაძაბულობის მატება.

**7 — მთვარის პირველი მეოთხედი მორიელის თანავარსკვლავედში**. შესაძლოა ნერვული აღგზნებულობის, შიშის შეგრძნების წარმოშობა. სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, მომატებულია ტრავმების მიღებისა და ვენერიული დასნებოვნების ალბათობა. გაუფრთხილდით შიდა და გარეგან სასქესო ორგანოებს, შარდმდენებს, სწორ ნაწლავს. შესაძლოა ბუასილის გამძაფრება. ეცადეთ, აკონტროლოთ ემოციები, მოერიდეთ ინფექციური დაავადებების საფრთხეს, ასევე ხელსაწყოებით მკურნალობას. სასარგებლოა გრილი შხაპის მიღება და სუფთა ჰაერზე სეირნობა.

**10 — მთვარისა და იუპიტერის შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში**. გამორიცხული არ არის პრობლემების წარმოშობა საჯდომის ნერვთან და ვენებთან დაკავშირებით. დაიცავით დიეტა, მეორიდეთ მძიმე და ცხიმიანი საკვების მიღებას, სტრესებს, ემოციურ გადატვირთვას. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი, სეირნობა, კარგი დროა გამაჯანსაღებელი პროგრამების დასაწყებად, ახალ საქმეთა წამოსაწყებად, ძველი კავშირების გასამყარებლად, ეკლესიაში მისასვლელად და სამოგზაუროდ.

**12 — მთვარისა და სატურნის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში**. სავარაუდოა უგუნებობა, სასიცოცხლო ძალთა დაქვეითება, ასევე ართროზისა და რევმატიზმის გაძლიერება, კბილის ტკივილები და კანის დაავადებები. უფრთხილდით ტრავმებს, მოერიდეთ ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვებსა და გაციებას. რეკომენდებული არ არის ახალი საქმეების ჩაფიქრება და წამოწყება.

**13 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქის თანავარსკვლავედში**. მოსალდონელია ძვლებისა და სახსრების ტკივილი, გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების საფრთხე. მოერიდეთ ტრავმებს, ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვებს, გაციებასა და ინფექციებს, აგრეთვე სიმძიმეების აწევას.

**15 — ახალმთვარეობა მერწყულის თანავარსკვლავედში**. სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა და ანთებითი პროცესების გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, უძილობა. არ არის რეკომენდებული ოპერაციების გაკეთება, კბილის ამოღება, რაც შესაძლოა, სისხლდენის მიზეზი გახდეს. რეკომენდებულია ხმაურიანი ღონისძიებებისთვის, ჭარბი ფიზიკური დატვირთვებისთვის, აგრეთვე სპირტიანი სასმელებისა და აღმგზნები საშუალების მიღებისგან თავის არიდება.

**17 — მთვარის აპოგეა, მისი ნეპტუნთან შეერთება თევზების თანავარსკვლავედში**. საფრთხილოა ინფექციურ დაავადებათა შეყრა და შემუპებები. სასურველია დიეტის დაცვა, უარი თქვით ცხარე, ცხიმიანი საკვების, ასევე ალკოჰოლიანი სასმელებისა და ყავის მიღებაზე. რაიმე საქონლის შეძენისას არის ზედმეტის შეძენისა, და მაშასადამე, მეტი ხარჯის გაწევის საფრთხე. არ არის რეკომენდებული მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სეირნობა. კარგი დღეა მეგობარ-ახლობლებთან შესახვედრად, დროს გასატარებლად.

**21 — მთვარის შეერთება ურანთან კუროს თანავარსკვლავედში**. შესაძლოა ფილტვებისა და ბრონქების, ასევე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. მომატებულია მგრძნობიარობა უხარისხო სურსათის მიმართ, ნუ მოიხმართ პირის ღორწოვანი ღრუსა და ყელის გამაღიზიანებელ საკვებსა და სასმელებს, ნუ დაძაბავთ ყელის იოგებს, მოერიდეთ გაციებას. თავი შეიკავეთ ოპერაციების გაკეთებისგან, ქვედა ყბაზე კბილების ამოღებისა და პროტეზირებისგან. ნუ დაგეგმავთ საპასუხისმგებლო შეხვედრებს, რადგან შესაძლოა, გარემოება მოულოდნელად შეიცვალოს. ფრთხილად იყავით ელექტრობასთან, უფრთხილდით დაცემას.

**23 — მზე გადადის ქალწულის ნიშანში, მთვარის ბოლო მეოთხედი ტყუპების თანავარსკვლავედში**. მომატებულია ემოციური ფონი, მძაფრდება ქრონიკული დაავადებები, ნელდება ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, ენერგიასთან ერთად იკლებს ასევე ემოციური ტონუსიც. საფრთხილოა ფილტვებისა და ბრონქების დაავადებები, ხელებისა და მხრების ტკივილები, სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები, კარგი დროა ფიტოთერაპიისთვის, პროფილაქტიკური გასინჯვებისთვის, სერიოზული მკურნალობის დასაწყებად. ერიდეთ ტრავმებს და ავტოსაგზაო შემთხვევებს.

**30 — მთვარის შეერთება მერკურთან, მარსთან და ვენერასთან ქალწულის თანავარსკვლავედში**. ყოფაცხოვრებით გარემოებასთან დაკავშირებით ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლის ფონზე შესაძლოა სხვადასხვა დაავადებათა წარმოშობა. საფრთხილოა კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადებები, დიარეა, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის შესუსტება. გამორიცხული არ არის საკვებით მოწამვლა. სასურველია უარის თქმა ცხოველური მსუყე საკვების, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელებისა და ყავის მიღებაზე. სასარგებლოა საჰაერო აბაზანები, ფიზიკური ვარჯიში, თუმცა, ამავდროულად, თავსაც ნუ გადაიტვირთავთ.




# „მდინარის მაგიური ბაღი“

**თანამედროვე ხელოვნების ცენტრი „თბილისი“ ფესტივალს – „მდინარის მაგიური ბაღი“ გამართავს, რომელიც 9 აგვისტოს გაიხსნება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ფესტივალის მიზანია თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მტკვრისა და მდინარე ვერეს შესართავთან არსებული ნახევარ ჰექტარამდე ფართობის ჭალის ტერიტორიის საზოგადოებრივ სივრცედ ქცევა. ფესტივალისთვის შერჩეული მტკვრის ჭალა ერთი მხრივ უმასპინძლებს ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებს, ასევე წარმოაჩენს ადგილს მდინარის ნაპირზე, როგორც პოტენციურ საზოგადოებრივ სივრცეს. ფესტივალის ფარგლებში გაიხსნება ამავე სახელწოდების გამოფენა, რომელშიც ახალგაზრდა ქართველი და საერთაშორისო არტისტები მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალში მონაწილეობენ არტისტები: მამუკა ჯაფარიძე, მარიამ კალანდაძე, გალაქტიონ ერისთავი, თამარ გურგენიძე, გოჩა ჟღენტი, ზურა ცოფურაშვილი, არიალი, ლადო ლომიტაშვილი, ილია მახარაძე, ალექსი სოსელია, ნიკოლოზ კაპანაძე, მარიამ ნატროშვილი, დეთუ ჯინჭარაძე და ელენე გაბრიჩიძე.

გამოფენა დაფინანსებულია „შემოქმედებითი საქართველოს“ (Creative Georgia) მიერ გამოცხადებული კონკურსის – „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ხელშეწყობის“ ფარგლებში. ფესტივალის ცენტრალური ადგილი იქნება „ცოდნის სივრცე“, რომელშიც ვორკშოპები, პრეზენტაციები და ყოველდღიური აუდიო პერფორმანსები ჩატარდება. სპეციალურად შექმნილია ტერიტორიის აუდიო გახმოვანება კოსმიური ხმების გამოყენებით.

# „ადილეი“ და #გაატარეზაფხულისაქართველოში

**#გაატარეზაფხულისაქართველოში კამპანიის ფარგლებში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში ანსამბლმა „ადილეიმ“ კონცერტი გამართა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი თბილისურ ანსამბლებთან ერთად კამპანიაში #გაატარეზაფხულისაქართველოში კონცერტებს ტურისტებისთვის (და არამხოლოდ მათთვის) 15 ივლისიდან 30 სექტემბრამდე, ყოველ ორშაბათს, 20:00 საათზე, ფოლკლორის ცენტრის ბაღში მართავს.**

მგალობელ-მომღერალთა გუნდი „ადილეი“ 2012 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა. პირველად მსმენელის წინაშე კი წარდგა 2014 წლის გაზაფხულზე და მას შემდეგ აქტიურად ჩაება საკონცერტო მოღვაწეობაში. აღსანიშნავია კონცერტები: ტრადიციული მრავალხმიანობის VII და IX საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, სოლო კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში („საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“), რუსთავის მე-5 ქალთა დაწესებულებაში, შეხვედრა-კონცერტები ცნობილ უცხოელ მუსიკოსებთან – იორდი სავალისთან (Jordi Savall), სერჯიო აზოლინისთან (Sergio Azzolini), ელიზაბეთ ლეონსკაიასთან (Elisabeth Leonskaja) და ა.შ. „ადილეის“ ჩატარებული აქვს კონცერტები, ვორქშოფები და სემინარები იტალიაში, გერმანიაში, ბელგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ადილეის“ გამოცემული აქვს CD ალბომი, ვინილის ფირფიტა და სასწავლო ჩანაწერები. სახელწოდება „ადილეი“ შეირჩა დასავლური სიმღერებისთვის დამახასიათებელი სამღერისიდან და ზუსტად ესადაგება ანსამბლის რეპერტუარს. გარდა ამისა, „ადილეი“ არის მგზავრული სიმღერა, რომელიც ასოცირდება მოძრაობასთან და წინსწრაფვასთან. „ადილეის“ რეპერტუარის მთავარი წყარო ძველი ჩანაწერებია. გუნდი ცდილობს, „მოირგოს“ ეს სიმღერები, შექმნას და შეასრულოს მათი ახლებური ვარიანტები.




# მაშველებმა დრონის დახმარებით კაცი გადაარჩინეს



**მახინჯაურში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წყალზე მაშველებმა 29 წლის ადგილობრივი მამაკაცი გადაარჩინეს. მოქალაქე ზღვაში 3-ბალიან შტორმში შევიდა და გამოსვლას ველარ ახერხებდა, რა დროსაც მოქალაქემ დაინახა და სანაპირო ზოლზე მყოფ სამაშველო დანაყოფს მიმართა.**

გადარჩენის ოპერაციაში დაუყოვნებლივ ჩაერთო მაშველი დრონის ოპერატორი და სამაშველო კატერი. ოპერაცია წარმატებით დასრულდა. მაშველებმა ახალგაზრდა კაცი სანაპიროზე უვნებლად გაიყვანეს. ტექნოლოგიური სიახლე, მაშველი დრონი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა წელს, 2019 წლის საზღვაო სეზონზე დანერგა. მაშველი დრონები სანაპირო ზოლზე პატრულირებისთვის და შტორმის დროს სამაშველო ოპერაციისთვის გამოიყენება.

# შტორმის გამო შავი ზღვის სანაპიროზე ბანაობა აკრძალულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შავი ზღვის სანაპირო ზოლზე შტორმის შესახებ მოსახლეობას აფრთხილებს და მოუწოდებს, არ შევიდნენ ზღვაში. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, სანაპირო ზოლზე ოთხბალიანი შტორმი ფიქსირდება.

**„აჭარაში მოსული უხვი ნალექის გამო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა მთელი ღამის განმავლობაში განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავეს. სულ დაფიქსირდა 45 შეტყობინება. გამოძახებების უმრავლესობა შენობების პირველი სართუ-**



**ლების დატბორვას ეხებოდა. მაშველებმა ყველა შემთხვევაზე მოახდინეს დროული რეაგირება. ბათუმში რამდენიმე ქუჩაზე სანიაღვრე სისტემამ ვერ გაატარა წყლის ძლიერი ნაკადი, რამაც გზების დატბორვა გამოიწვია. აღნიშნული მისამართების შესახებ ინფორმაცია ბათუმის მერიის შესაბამის სამსახურებს უკვე გადაეცა.**

**უამინდობის გამო, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ფიქსირდება 3-4-ბალიანი შტორმი, აღმართულია წითელი ალმები და აკრძალულია ცურვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს დამსვენებლებს, დაემორჩილონ მაშველების მითითებებს და დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, არ დატოვონ მცირეწლოვანი ბავშვები უმეთვალყუროდ, არ ჩავიდნენ წყალში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ან ნაბახუსევზე, არ გასცდნენ უსაფრთხოების ტივტივებს, მაშველების მიერ გამაფრთხილებელი წითელი ალმების გამოფენის შემთხვევაში, არ ჩავიდნენ წყალში“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ცურვა დასაშვები იქნება მას შემდეგ, რაც გამოიფინება თეთრი ალმები.

# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს**

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8870; ევრო - 3.2037;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4941;
100 რუბლი - 4.4431; თურქული ლირა - 0.5161;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7002;
1000 სომხური დრამი - 6.0588.

## ამინდი 6 აგვისტოსთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე | +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +27 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე | +28 |

## დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge